

ნობელი ჰაწთაია

ჩვენი ზეზვა  
მედულაშვილი

სალოზო ჩანახაუზი



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2014

## ჩენი ზეზვა

ვინც გამოჩენილ მთარგმნელს, უამრავი ენის მცოდნეს, პოეტს, კაფიებისა და ექსპრომტების უბადლო ოსტატს, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატს, მეტად კოლორიტულ პიროვნებას, ზეზვა მედულაშვილს იცნობს, არ შეიძლება მისი სახელის ხსენებაზე ღიმილი არ მოეფინოს სახეზე, უკეთესად არ იგრძნოს თავი და არ გაუჩნდეს სურვილი მასთან ისევ და ისევ შეხვედრისა.

ხომ ბედნიერია ის, ვინც იცნობს ზეზვას, მაგრამ უფრო ბედნიერია ის, ვისაც წინა აქვს ბედნიერება, თუნდაც ამ საღალღობო ჩანახატების სახით, მისი გაცნობისა.

აქ მოტანილი ამბები, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია, მაგრამ ამის გარეშე რომ არაფერი გამოვიდოდა, დიდი იუმორის პატრონმა ზეზვამაც მშვენივრად უწყის და მეც მივუშვი და მივუშვი ავშარა ფანტაზიის ისედაც დაუმორჩილებელ ბედაურს...

ჩანახატებს დართული აქვს ზეზვას მეგობართა მცირე ჯგუფის მოსაფერებელი სიტყვები ჩენი გმირის მიმართ.

ზეზვა პომპეზური პიროვნება არ არის, არ უყვარს მრგვალი თარიღების აღნიშვნა, ამიტომ ნახევრადმრგვალ თარიღს – დაბადების 75 წლისთავს ამ ფორმით ვულოცავ მას.

მაშ ასე, მოგვეფინოს ღიმილი სახეზე, ვიგრძნოთ უკეთესად თავი და გაგვიჩნდეს სურვილი ისევ და ისევ ჩვენ ზეზვასთან შეხვედრისა.

თხრობა მიმდინარეობს ქრონოლოგიური პრინციპის დარღვევით.

© ნ. ბართაია 2014

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-206-1

## ოქ. სადაყ ახლა ღორქვანია

1961 წელის შემოდგომაა. პირველი კურსის სტუდენტი ვარ. ეს-ეს არის დაიწყო სწავლა. ტარდება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაერთიანებული პროფორგანიზაციის კრება.

ტარდება და ჩატარდესო, იტყვის მკითხველი, რა არის ამაში უცნაური. უცნაური ის იქნებოდა, რომ იმ წელს აღნიშნულ უნივერსიტეტში არ ჩატარებულყო ის კრება და განსახილველად არ გაეტანათ ის საკითხი, რაც იქ გაიტანეს.

ღიას, ტარდება კრება და საანგარიშო მოხსენებით გამოდის ფაკულტეტის პროფორგანიზაციის თავმჯდომარე, არმენოლოგიის განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტი, ვინმე ზეზვა მდულაშვილი. კრება არის სკანდალური – უნდა გაირკვეს თუ როგორ დაიკარგა ფაკულტეტის პროფორგანიზაციის მთელი დოკუმენტაცია.

დარბაზში ვნებათაღელვაა. ხაფანგში მომწყვდეულ რომელიღაც სულიერ არსებასავით თავზარდაცემულ მომხსენებელს, რომელიც ხან როგორც ცდილობს გაიმართლოს თავი და ხან როგორც, წარამარა აწყვეტინებენ სიტყვას.

– როგორ ადამიანო, მთლიანად როგორ დაიკარგა ყველაფერი! – კითხულებს გაოგნებული ერთი.

– აბა, რა ვიცი, დაიკარგა და!.. – პასუხობს ასევე გაოგნებული პროფორგანიზაციის თავმჯდომარე.

– რას ჰქვია რა ვიცი! როგორ თუ დაიკარგა ყველაფერი! დავიჯერო არაფერი გადარჩა? – კითხულობს შემოწმებული სახით მეორე.

– აბა, რომ გადარჩენილიყო, ძალით ხომ არ გავიხვევდი შარში თავსა!.. – ისმის პასუხად.

– როგორ, შე ოჯახსაშენებულო, ათასობით დოკუმენტიდან ერთიც არ გადარჩა? – წამოენთო მესამე.

– არ გადარჩა და აბა, მე რა ვქნა? – არ დააყოვნა პასუხმა.

– კი მაგრამ, დალოცვილო, სად გეწყო ისეთ ადგილას ისინი, ასე რამ აორთქლდა ყველა? – იკითხა გაოცებულმა მეოთხემ.

– აბა, რა ვიცი, ზოგი მაგიდის უჯრებში, ზოგიც კიდევ კარადების თაროებზე.

– ხალხნო, თქვენ ვერ გაიგეთ!.. – დაიწყო მეექვსემ.

– რა გაგება ამას უნდა, რა არის აქ გაუგებარი – არ მისცა საშუალება, დაემთავრებინა სათქმელი მეექვსეს მეშვიდემ.

– მერე, ნუთუ არაფერი დარჩა იმ მაგიდის უჯრებსა და კარადების თაროებზე, კარგად გაჩხრიკე ყველაფერი? – ჩაერთო მერვე.

– აბა, რა გაგჩხრიკო, სადღაა ან მაგიდები, ან კარადები!.. – გაისმა პასუხად.

– როგორ თუ სადღაა მაგიდები და კარადები, ოთახში არ არის?! –

წამოიყვირა მეცხრემ.

– ოთახი სადღაა!..

– როგორ! რას ამბობ! ოთახი სადღააო?! – გადაიღრია მეათე.

– ჰო, სადღაა ოთახი. სექტემბერში რომ ჩამოვედი არაშენდიდან, იმ ადგილას, სადაც პროფორგანიზაციის ოთახი იყო, დერეფანი დამხვდა.

– როგორ თუ დერეფანი დაგხვდაო?!.. – წამოხტა მეთერთმეტე.

– როგორ და ეგრე... რემონტი გაეკეთებინათ და ის მხარე მთლიანად მოეშალათ, სადაც ჩემი ოთახი იყო.

– მერე და არ იკითხე სად იყო გადატანილი შენი ოთახი? – დაუსვა ჩამჭრელი კითხვა მეთორმეტემ.

– როგორ არა, ყარაულსა ვკითხე, მაგრამ იმან მითხრა, აბა, მე რა ვიციო!..

საუბარია დღეს უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ქუჩის მხარის ფლიგელზე, სადაც ამჯერად ის

დერეფანია, რომლის რეკონსტრუქციამაც ასე უღვთოდ შეიწირა მთელი დოკუმენტაცია, თავისი მაგიდა-კარადებოთახიანად.

არ ვიცი, ამ დროს ნერვებმა უმტყუნა თუ სადღაც ეჩქარებოდა, ჩქარი ნაბიჯებით, უკანმოუხედავად დატოვა აუდიტორა მეცამეტემ.

ის-ის იყო დამთავრდა ყველასათვის თავზარდამცემი ეს კითხვა-პასუხი, რომ ბატონი ლეონი, იგივე ლეონ მელიქსეთ-ბეგი, გაემართა, უფრო სწორად – გაიჭრა ტრიბუნისკენ. მას წინასწარ ეყნოსა, რომ მის სტუდენტს, ამის გამო, არც მეტი, რც ნაკლები, სტიპენდიის მოხსნა არ ასცდებოდა, აღელვებული ავარდა იგი ტრიბუნაზე და ყოველგვარი მიკიბუ-მოკიბვის გარეშე დაიწყო: – ხალხნო, იცით რას აკეთებთ, რა მოჰყვება ამას, რა დღეში აგდებთ ადამიანს?!.. ზეზვა მედულაშვილს რომ უყურებთ, ნახევრად მშიერი დადის. ამას წინათ ვიყავი მასთან სტუდენტალაქში და ვნახე, ღობიო თუ აქვს, მჭადი არა აქვს, მჭადი თუ აქვს, ღობიო არა აქვს!.. ახლა იმას რომ სტიპენდია მოუხსნან, ხომ დაიღუპა კაცი! რა მისი ბრალია, საბუთები თუ დაიკარგა, აკი, ყარაულისთვის უკითხავს, ოთახი რა იქნაო?! მაგისთანა ნიჭიერი სტუდენტი ჯერ არ გვეოლია! შენზე უკეთესი სპარსული იცის! – გაიშვირა ხელი სპარსული ენის კათედრის გამგე მსოფლიოში სახელგანთქმულ ირანისტ პროფესორ დავით კობიძისკენ, – შენზე უკეთესი თურქული იცის! – გაიშვირა ხელი თურქული ფილოლოგიის კათედრის გამგე მსოფლიოში სახელგანთქმულ თურქოლოგ პროფესორ სერგი ჯიქიასკენ, ჩემზე უკეთესი სომხური იცის! – გაიშვირა ხელი არმენოლოგიის კათედრის გამგე, ასევე მსოფლიოში სახელგანთქმულ არმენისტ საკუთარი თავისკენ...

უცებ ვნებათაღელვა დაცხრა, აუდიტორია გაიტრუნა, დაზარალებულმა თუ დამზარალებელმა პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ დაცვარულ შუბლზე ხელი გადაისვა, თავჩაქინდრულმა მარჯვენა წარბი მაღლა აქაჩა და აუდიტორიას შიშნარევი მზერა გადაავლო, რომლიდანაც,

ვერც იმას იტყვოდი, გამოკრთოდაო იმედის ნაპერწკალი, მაგრამ ვერც იმას – მთლად ჩამქრალიყო იგი.

მე მაშინ აღნიშნული ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. თავზე კვტდარტყმულ ჩოკინასავით დარეტიანებული გამოფეყვი აუდიტორიიდან ფაკულტეტის საერთო კრების მონაწილე პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მღვრიე ტალღას...

ეს იყო პირველი კრება, რომელსაც უნივერსიტეტში დავესწარი. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ თუ ვინმე სადმე ოთახს დაკარგავდა, თანაც სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის გაერთიანებული პროფორგანიზაციის თავმჯდომარე, ამას ვერაფრით წარმოვიდგენდი.

შემდეგ, როგორც ჩემამდე მთარული ხმებით მოვიდა, თურმე, ამ შემთხვევამ უბიძგაო სტუდენტ რეზო მიშველაძეს, რომელიც მაშინ მეცნიერების მწვერვალების დაპყრობის ჟინით იყო შეპყრობილი, აელო ხელში შემოქმედის, კონკრეტულად, იუმორისტის კალამი და კედლის გაზეთის საშუალებით, მთელი უნივერსიტეტისთვის მოეფინა სკანდალური კრების ზემოაღწერილი გაუგონარი ამბავი.

ასევე მთარული ხმებით მოაღწია ჩემამდე, თითქოს, ამ შემთხვევამ უბიძგაო ასევე სტუდენტ რეზო გაბრიაძეს, რომელიც ზუსტად ვერ გეტყვით მაშინ რისი დაპყრობის ჟინით იყო შეპყრობილი, აელო ხელში კარიკატურისტის ფანქარი და თავისი ძალები ზეზვასთვის ხელოვნების არც თუ ისე სასიამოვნო ჟანრში მოესინჯა.

ნათქვამია, მოსახვევში ეშმაკს არ ძინავსო და ზეზვასთან მაინც გადავამოწმე რეზო მიშველაძესთან დაკავშირებული ამბავი.

ზეზვამ, როგორც სჩვევია ხოლმე, მარჯვენა წარბიდან ორაზროვნად ამომხედა და სამაზროვნად ჩაიბურტყუნა – ობლის თავზე დალაქი ხელს იწაფავდაო...

ხოლო, რაც შეეხება ასევე მთარულ ხმებს რეზო გაბრიაძის მიერ მისთვის ხელოვნების არც თუ ისე სასია-

მოვნო ჟანრში ძალების მოსინჯვაზე, იგი მან არც უარყო და არც დაადასტურა.

ერთხელ სუფრაზე ზეზვამ, მარცხენა თუ მარჯვენა, წარბი შეატოკა და ჩამილაპარაკა – ჯერ ერთი, არც კი ვიცოდი ფაკულტეტის გაერთიანებული პროფორგანიზაციის თავმჯდომეზე თუ ვიყავი, არაშენდაში გავიგე ამის შესახებ, როცა საბუთები დაკარგულაო...

ზეზვამ ისე გულწრფელად დაიწივლა ეს, თითქოს, რომ სცოდნოდა, მაგ თანამდებობაზე იყო დანიშნული, ცივ ნიავს არ გააკარებდა იმ მხარეს, სადაც კარადა-მაგიდა-ოთახიანად წკვარამმა შთანთქა ფაკულტეტის პროფკავშირის წევრთა მთელი ავლა-დიდება...

არადა, სტიპენდია მაინც მოუხსნეს!..



## რამდენი ჩინდახილულა ვაქვაროქს

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებია. დღიურებში სადღაც კი მიწერია ზუსტი თარიღი, მაგრამ არა მგონია ახლა იგი ქექვად ღირდეს.

თბილისის ნ. ბარათაშვილის სახელობის მტკერის ორსართულიანი ხიდის დარბაზში აღმოსავლური პოეზიის საღამო იმართება. საღამო მიჰყავს ყველასათვის საყვარელ ვახუშტი კოტეტიშვილს. ვაი, რომ ახლა იგი ჩვენ შორის აღარ არის.

ის რომ აღმოსავლური პოეზიის საღამო მიჰყავს ვახუშტი კოტეტიშვილს, ეს ერთ აღმოსავლურ თუ დასავლურ პოეზიის საღამოდ, დილად თუ შუადღედ ღირს. ფეიერვერკებად იფრქვევა წამყვანი. დარბაზში ზეიმი, მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებიან აღმოსავლური პოეზიის ცნობილი თუ უცნობი მთარგმნელები, ვინმე რომ არ გამომჩნეს, მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ.

გამოვიდა ერთი, გამოვიდა მეორე, გამოვიდა მესამე, მეოთხე და აი, ჯერი მიდგა ზეზვა მედულაშვილზე.

– ხალხნო, – დაიწყო ვახუშტიმ თავისი ყველასათვის საყვარელი ხრინწიანი ხმით – ახლა თქვენს წინაშე გამოვა ცნობილი მთარგმნელი, ჩვენი დროის საიათნოვა, პოლიგლოტი ზეზვა მედულაშვილი, რომელმაც ბრწყინვალედ იცის სომხური და აზერბაიჯანული, ფლობს სპარსულ, არაბულ, უზბეკურ, ყირგიზულ, ჩუვაშურ, ჩუჩმეკურ, ბალყარულ, აფხაზურ, ქურთულ, ბერძნულ, ინგუშურ, მოლდავურ, რუმინულ, ყარაკარპაკულ, ოსურ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, ინდურ, ჩინურ, ჩრდილოკორეულ, ესტონურ, სამხრეთვიეტნამურ, ბენგალურ, ლიტვურ, ლატვიურ, ჰოლანდიურ ენებს. მკვდარი ენებიდან თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობს – შუმერულად, აქადურად, ელამურად, ბაბილონურად, ფალაურად, სოდდურად, პართულად – გაშალა ლაღად ფრთები საღამოს წამყვანის ფანტაზიამ. მერე ბოდიშიც კი მოუხადა ზეზვას, რომელიმე ენა ხომ არ გამომჩნაო და დარბაზს მიმართა – მაშ ასე, მივესალმით ჩვენს ზეზვას!...



დარბაზში იხუვლა ტაშმა, რომლის გრიალსა და შე-  
ძახილების ფონზე, ისე, რომ ხან რას მიებლანდ-მოებ-  
ლანდა, მიკროფონთან მივიდა ზეზვა.

დაილოცოს ვახუშტი კოტეტიშვილის სახელი, რა  
კარგად წარუდგინა გამომსვლელი აუდიტორიას, რომელ-  
მაც თითქმის ყველა იმ ენაზე თქვა რაღაც, მკვდარი იქნე-  
ბოდა ის თუ ცოცხალი, რომელიც კი ჩამოთვალა მან.

დამთავრდა სადამო. გაბრუებულნი გამოვდივართ  
დარბაზიდან. აღფრთოვანებას ვერ ვმაღავთ. ეს რა კარ-  
გი სადამო იყო, ეს რა ზეიმი იყო!..

სადამოს გმირი, თუ ზეზვა არა, სხვა ვინ უნდა ყო-  
ფილიყო. ყველა ცდილობდა მასთან მიახლოებას და მის  
მიმართ აღფრთოვანების გამოხატვას. ამ მხრივ ზოგს გა-  
უღიმა ბედმა, ზოგს არა, რას იზამ ასეთია ცხოვრება.  
ბედმა მთლად არც მე გამწირა და მომცა საშუალება, გა-  
სასვლელთან, აღმოვჩენილიყავი სადამოს გმირთან ახ-  
ლოს, როცა მან, ცოტა არ იყოს, წყენაშეპარულად ჩაუ-  
ლაპარაკა თანამოსაუბრეს – „იქა ვახუშტიმ ენები რომ  
ჩამოთვლა, გერმანული არ უთქვამს. განა მე გერმანული  
არ ვიცი, ლაპარაკი ისე არ შემიძლია, თორემ, დაწერილს  
ჩვეულებრივ ვკითხულობ და ვიგებ“-ო.

თურმე, იმ დალოცვილ ვახუშტი კოტეტიშვილს, მა-  
ინცდამაინც გერმანული გამორჩენოდა, ანუ ის ენა, რომე-  
ლიც ზეზვას სკოლასა და უნივერსიტეტში ესწავლა...

„განა მე გერმანული არ ვიციო...!“ – ახლაც ჩამესმის  
გულისტკივილით ნათქვამი ზეზვას სიტყვები.

მართლაც, განა ზეზვამ გერმანული არ იცის...

რამდენი წინდახედულობა მართებს ადამიანს, რო-  
გორ უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!..

გულმა თითქოს წინასწარ რენხი უყოო, ვახუშტიმ  
წინასწარ ბიდიშიც კი მოუხადა გამომსვლელს – რომე-  
ლიმე ენა ხომ არ გამომრჩაო.

როგორც მერე გავიგე, ვახუშტიმდეც მისულა ეს ამ-  
ბავი და ისიც თურმე სიცოცხლის ბოლო წუთამდე გა-  
ნიცდიდა იმას, რომ ზედმეტად ენდო მეხსიერებას...

## დაუწერელი კანონი

უმაღლეს სასწავლებელში მაშინ ასეთი დაუწერელი კანონი მოქმედებდა – თუ წარჩინებული და კარგი მომავლის მქონე სტუდენტისთვის ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად ადგილი არ მოვიდოდა, მას სამეცნიერო-პედაგოგიური მომზადების მიზნით, ლაბორანტად ტოვებდნენ კათედრაზე.

ამ დაუწერელი კანონის საფუძველზე დატოვეს ზეზვა ლაბორანტად.

გასაგები იყო, რატომ ერქვათ ლაბორანტები ქიმია-ბიოლოგია-ფიზიკის ფაკულტეტების თეთრხალათიან გოგონებს და ბიჭუნებს, რომლებიც მთელ დღეს კოლბ-სინჯარებთან ატარებდნენ, მაგრამ გაუგებარი იყო ზეზვასთვის რატომ ერქვა მას ლაბორანტი, რომელსაც არასოდეს არავითარი შეხება არ ჰქონია არც კოლბთან, არც სინჯარასთან და მითუმეტეს – თეთრ ხალათთან.

ვის და ვის არ მიმართავდა, ზეზვა ამის შესახებ, მაგრამ პასუხს ვერავისგან ღებულობდა, ან თუ ღებულობდა, ისეთ ბუნდოვანს, რომ ვერაფერს გებულობდა.

დიახ, ბატონებო, რახან სხვა საშუალება არ იყო, არმენოლოგიის კათედრის გამგემ, ბატონმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმ დაუწერელი კანონის საფუძველზე და იმ მიზნით, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ, ზეზვა მედულაშვილი, კათედრაზე მოიყვანა ლაბორანტად, რაც კურსდამთავრებულისთვის, მართლაც, რომ დიდი პატივი იყო, უნივერსიტეტის მაშინდელი თუნდაც წარუმატებელი ლაბორანტი საზოგადოებაში დღევანდელ თუნდაც წარმატებულ ბიზნესმენზე მეტი პატივით სარგებლობდა.

ამაგის გადახდაც ისეთი უნდა, ზეზვამ რომ ბატონ ლეონს გადაუხადა, კაცს მადლი მატლად გადაუქცია:

ერთხელ ზეზვამ სადღაც თავის მიმოხეველ „ქოროლდის“ თარგმანებში ბატონი ლეონის სახელზე გამოგზავნილი წერილი იპოვა, რის შესახებაც მაშინვე, ოპერატიულად, ტელეფონით აცნობა ადრესატს. ბატონმა ლე-

ონმა მშვიდად მიიღო ეს ცნობა და მიუგო – მაგიდაზე დამიდე და როცა გამოვალ ავიღებო. მერე სხვათაშორის იკითხა თუ საიდან იყო გამოგზავნილი იგი. – ესლავეო, – მიუგო ზეზვამ, აიღო კონვერტი, ერთი-ორჯერ შეატრიალ-შემოატრიალა და... ელდა ეცა!.. შემდეგ, გამშრალი ხმით ამოიხრიალასავით – ბატონო ლეონ, წერილი ამერიკიდანააო!..

გაგანია კომუნისტური პროპაგანდის წლებია. საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა მიწასთან ასწორებს ამერიკის ძირმომპალ იმპერიალიზმს. ის-ის არის, საცაა ამერიკა უნდა ჩაიძიროს კაპიტალიზმის ჭაობში. საბჭოთა კავშირ-ამერიკას შორის რკინის ფარდაა ჩამოშვებული. საკმარისია, ახსენო ამერიკა, რომ ამერიკის აგენტად მოინათლები. ამ დროს ზეზვას ხელში უჭირავს ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი.

– რაო, ამერიკიდანააო! – გაისმა ბატონი ლეონის გაოგნებული ხმა.

– დიახ, ბატონო ლეონ. – უფრო დამაჯერობლობისთვის, კანკალით, ვ გაურია სახელში ზეზვამ.

– ახლავე მომიტანე!.. ახლავე!..

– კი, ბატონო ლეონ, ახლავე მოვიტან! – როგორც ჩასვა, ისე ამოაგდო ვ ბატონი ლეონის სახელიდან ზეზვამ.

– არა, არა, გზაში არ დაგეკარგოს, მე თვითონ მოვალ, მე თვითონ მოვალ ახლავე!..

– არა, არა, შენ მომიტანე!

– კარგი ბატონო ლეონ მოგიტანთ.

– არა, არა, მე მოვალ! არა, არა შენ მოიტანე!..

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მუჰამედი მივიდა მთასთან თუ მთა – მუჰამედთან, მივიდა ის წერილი ადრესატამდე და ნეტავ სულ არ მისულიყო. თურმე ბატონ ლეონს ამერიკაში იწვევდნენ ექვსი თვის წინ ჩატარებულ არმენოლოგთა მსოფლიო კონგრესზე...

როგორც ცნობილია, ამ ამბავმა საგრძნობლად შეარყია ბატონი ლეონის ჯანმრთელობა, რამაც, თავისთა-

ვად, ასევე საგრძნობლად დააჩქარა კათედრის გამგედ ბატონი ვანო შილაკაძის კურთხევა.

მოვიდა ბატონი ვანო კათედრის გამგედ. მივიდა ზეზვა მის ახლადმოსულ ხელმძღვანელთან, რომ ახლა მაინც გაეგო რა ევალეობდა ლაბორანტს, მაგრამ ვერც ახლა გაეგო თავი და ბოლო ვერაფერს. მასაც სხვა რა დარჩენოდა, ხომ არ გამოიკეტებოდა არმენოლოგიის ოთახში და მიჰყვა ძველებურად დინებას, რომელიც ხან რომელ კაბინეტში ამოაყოფინებდა თავს და ხან რომელში. დინება კი ირანისტისტიკის კაბინეტში ჰქმნიდა მორევს, საიდანაც თავის დაღწევა არც ისე იოლი იყო ხოლმე მისთვის.

რატომ მაინც და მაინც ირანისტების ოთახში ჰქმნიდაო დინება მორევს? იკითხავს ცნობისმოყვარე მკითხველი. ახლავე მოგახსენებთ: ზეზვას თავიდან ირანული ფილოლოგიის სპეციალობაზე ჰქონდა შეტანილი საბუთები, სადაც ერთი სემესტრი ესწავლა კიდევ. შემდეგ არმენისტი იმიტომ გახდა, რომ არმენოლოგიაზე არავის შეეცანა საბუთები და ჯგუფი რომ არ დახურულიყო, ბავშობიდან ირანისტობაზე მეოცნებე ახალგაზრდები არმენოლოგიის სამსხვერპლოზე კრავებოვით შეეწირათ. კი დაამთავრა ზეზვამ წარჩინებით აღნიშნული სპეციალობა, მაგრამ ირანული ფილოლოგიის სიყვარული პირველი თოვლივით ჩარჩენოდა გულში...

მიდიოდა ჩვეულებრივად უმაღლეს სასწავლებელში ცხოვრება. მოვიდოდა ბატონი ვანო უნივერსიტეტში, კაბინეტი დახვდებოდა დაგმანული. გაიკითხ-გამოიკითხავდა მეზობელ ოთახებში – ზეზვა ხომ არ გინახავთო. ეტყოდნენ – როგორ არა, მთელი დღე აქ იყო, ეს-ეს არის დაბლა ჩავიდაო. ჩავიდაოდა ისიც დაბლა. შეაღებდა პირველ რიგში ირანული ფილოლოგიის კაბინეტის კარებს, სადაც უფრო ეგულეობდა იგი. იქ კი გაკვირვებით ეტყოდნენ – როგორ, ბატონო ვანო, ზეზვა დერეფანში არ შეგხვედრიათ, ეს-ეს არის აქედან გავიდა, ასე თქვა, ბატონი ვანო უნდა მოვიდეს და კაბინეტში უნდა დავხვდეთო!..

– მაღლობა ღმერთს, აქ ყოფილაო, – აღმოხდებოდა ბატონ ვანოს და გახარებული აუყვებოდა მეორე სართულის კიბეს.

ამ დროს მეორე სართულზე გამოჩენილ ზეზვას დაახვედრებდნენ – სადა ხარ ბიჭო, ბატონი ვანო დაგეძებს, დაბლა ჩავიდაო.

ბატონი ვანო დაგეძებს და დაბლა ჩავიდაო!.. ჩავარდებოდა ზეზვა დაბლა, მაგრამ რად გინდა, ბატონი ვანო უკვე ქოშინით მაღლა იყო ამოსული.

ვიცი, დღეს თუ ხვალ, სხვისგან მაინც გაიგებთ და ბარემ მე გეტყვით, კორპუსს ორივე მხარეს ჰქონდა კიბე, რაც მეტად ართულებდა მდგომარეობას!..

ბატონი ვანო და ზეზვა ერთმანეთის ძებნა-ძიებაში მარტო ერთი კორპუსით როდი ისაზღვრებოდნენ. გაიგებდა ზეზვა, რომ ბატონი ვანო პირველ კორპუსშიაო, არც აცხებდა, არც აცხელებდა, თავგქუდმოგლეჯილი გავარდებოდა პირველი კორპუსისკენ.

გაიგებდა ბატონი ვანო ზეზვა მეექვსე კორპუსშიაო, უმაღლეს კორპუსისკენ გამოემართებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს კინალამ საბედისწეროდ დამთავრდა კათედრის გამგისთვის თავის ლაბორანტთან შეხვედრა და თუ მშვიდობით დასრულდა ყველაფერი, ისევ ზეზვას უნდა ვუმადლოდეთ, რადგან თუ არა ზეზვა, მართლა უბედურება დატრიალდებოდა იმ დღეს უნივერსიტეტის ორ კორპუსს შორის ჭავჭავაძის გამზირზე სახელდახელოდ გადებულ ვიწრო ხიდზე.

კი მაგრამ იქ ხიდს რაღა უნდოდაო, იკითხავს გაცუბული მკითხველი. ახლავე მოგახსენებთ. ქალაქში მიწისქვეშა კომუნიკაციების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა, რასაც უნივერსიტეტამდე მოედწია. გადათხრილი იყო გამზირის ის მონაკვეთი, რომელიც ამ ორ კორპუსს შორის გადიოდა. სწორედ ამიტომ გაედოთ დროებითი ხიდი კორპუსებს შორის, რომლის ქვევით რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკა გრუხუნებდა, სადაც, ერთმანეთის ძებნისას, ერთმანეთს შეეფეთნენ ბატონი ვანო და ზეზვა.

– ბატონო ვანო!... – ისე შეჰყვირა ზეზვამ სიხარულისგან, რომ ბატონ ვანოს თავხარი დაეცა და მოაჯირზე გადაიკეცა.

და აი, სწორედ მაშინ იმარჯვა ზეზვამ, ეცა ბატონ ვანოს და პირდაპირ ხახიდან გამოგლიჯა კაცი ხიდის ქვეშ მობულრავე ქვესკნელის რკინის ურჩხულებს.

გადიოდა ასე უნივერსიტეტის წლები, სანამ ზეზვამ მთარგმნელობით კოლეგიაში არ ამოჰყო თავი.

ძვირფასო მკითხველო, ალბათ გახსოვთ, ბატონმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ზეზვას დასაცავ სიტყვაში რომ თქვა: „ამას წინათ ვიყავი მასთან სახლში და ვნახე, თუ როგორ ჭამდა ერთი კვირის ცივ ლობიოსა და მჭადსო“ – ბატონმა ლეონმა პირველად იცრუა მაშინ თავის სიცოცხლეში იმ კეთილშობილური მიზნით, რომ ზეზვასთვის საარსებო წყარო – სტიპენდია არ მოეხსნათ.

სინამდვილეში კი აი, რა იყო:

საოცრად თბილი და ბავშვივით გულუბრყვილო ადამიანი ბატონი ვანო თავისი სტუდენტის საყოფაცხოვრებო პირობებით დაინტერესებულა და ზეზვასთან მისულა. ზეზვას მცხეთის ქუჩის დასაწყისში ჰქონია დაქირავებული ერთი ოთახი, რომლის ერთი კედელი მთლიანად რუბენისის შიშველი ქალის სურათით ყოფილა დაფარული. მოულოდნელად ამხელა „ამორალური“ ტილოს დანახვაზე ბატონი ვანო შეღონებულა და ზეზვასთვის მუდარის ტონით მიუმართავს – ეს სურათი მოაშორე აქედანო! – აბა, სურათი როგორ უნდა მოვაშორო აქედან, მთელ კედელზეა გაკრული, მაშინ მთელი კედელი უნდა მოეხსნათ – გაუცია დამაჯერებელი პასუხი ზეზვას.

რომც დაჰყოლოდა ზეზვა თავისი კათედრის გამგის თხოვნას, განა სახლის პატრონი დათანხმდებოდა იმ სურათის ჩამოსხნაზე, რომელსაც ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდა დამქირავებელი შემოუტყუებია ამ სოროში...

ქართველი კაცი, რომელსაც სტუმართმოყვარეობა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, არ დაბნეულა და სადილზე დაუპატიჟია სტუმარი – დაბრძანდით ბატონო ვანო,

ლობიო მაქვს, ახლავე გამოვიტანო და ქვაბისთვის თავი მოუხდია.

აბა, ზეზვას მაცივარს ვინ მიაციებდა და ლობიოს იმ გაგანიაში ობი მოდებოდა. – სულ გადათეთრებული იყო ის ოხერი – იგონებს ზეზვა, – ის კი არა, პურიც არ აღმომანნადაო.

მაშინ ბატონ ვანოს თავად დაუპატიჟია ზეზვა – დღეს მეც ლობიო მაქვს, აქვე ვცხოვრობ, ქუჩის ბოლოში და ერთად ვისადილოთო.

მორიდებია ზეზვას, მაგრამ ბატონ ვანოს თავისი გაუტანია. უსადილიათ ტკბილად ლექტორსა და სტუდენტს. დამშვიდოებისას კი ბატონ ვანოს, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ზეზვასთვის სამმანეთიანი ჩაუტენია ჯიბეში.

– ხომ იცი, მაშინ სამი მანეთი სტუდენტისთვის ცოტა ფული არ იყო, – იგონებს ზეზვა.

ღიას, სწორედ ამ ამბიდან დაესესხა ბატონი ლეონი ბატონ ვანოს ზეზვასთან დაკავშირებულ მჭადისა და ლობიოს ეპიზოდს.

ძვირფასო მკითხველო, არ მინდა უთქმელი დამრჩეს, რომ მოგახსენეთ ზეზვამ ბატონ ლეონს ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი ექვსი თვის მერე გადასცაო, როგორც შემდეგ თვითონ დამიზუსტა, თურმე ერთი წლის მერე გადაუცია და შეცდომაში შეყვანის გამო ბოდიშს ვიხდი.



## ქსტრავაგანტური საქოლი

სასაუბრო ენის დაუფლების მიზნით, უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე დამკვიდრებული იყო საზავსულო პრაქტიკები. ზოგი სად გადიოდა მას და ზოგი სად, მაგალითად, ირანისტიკის განყოფილების სტუდენტები შუა აზიის მოკავშირე რესპუბლიკებში იტეხავდნენ ენას, თურქოლოგიის – საქართველოს ტერიტორიაზე – წაღკის რაიონში, ხოლო არმენოლოგიისა – მეზობელი სომხეთის ქალაქ სტეფანავანში.

ასეთი ბედნიერება არა თუ არ გაჩნდათ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებს, არამედ მსგავსი რამ სიზმარშიაც არ მოეღანდებოდათ, რადგან მათთვის საამისო პირობები ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში უბრალოდ არ არსებობდა.

არმენოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს არაერთხელ ჰქონიათ ბედნიერება ზეზვას ხელმძღვანელობით გაეველოთ ასეთი პრაქტიკები და ტკბილმოსაგონებლად გაპყლოდათ შემდეგ ცხოვრების მანძილზე იმ დღეებში მოსმენილი ზეზვას ექსპრომტები, კაფიები, კახური ანეგდოტები და ათასი სახუმარო მონათხრობი როგორც ქართულ, ისე სომხურ, აზერბაიჯანულ, სპარსულ და ვინიცის, კიდევ რამდენ ცოცხალ თუ მკვდარ ენაზე.

პრაქტიკებზე წასვლის წინ სტუდენტებისთვის უნდა გაეცნოთ ის გარემო-პირობები, სადაც მოუწევდათ მათ ერთი თვე ყოფნა. ზეზვაც, როგორც წესი, ყოველთვის დაბეჯითები უხსნიდა მათ ყველაფერს. პრაქტიკანტებიც, ასევე, როგორც წესი, ყოველთვის პირობას დებდნენ, რომ ცნობად და სახელმძღვანელოდ მიიღებდნენ ხელმძღვანელის ყოველ სიტყვას.

ერთხელაც, ასეთი წინასაპრაქტიკო დამოძღვრის მერე, ის-ის იყო დაემშვიდობა ზეზვა სტუდენტებს, რომ თითქოს გულმა რეჩხი უყო, კიდევ ერთხელ გააფრთხილა ისინი – აბა, თქვენ იცით, როგორ დაიჭერთ მანდ თავს, ჭკვიანად იყავით, ექსტრავაგანტურად არ მოიქცეთო.



მოკლედ, ჩავიდა სტეფანავანში პრაქტიკანტთა მორიგი ჯგუფი, რომელთა დაბინავება და საველე სამუშაოდ გამოშლა თითქმის ერთდროულად მოხდა.

ჯგუფში ერთი სპორტული მონაცემების მქონე, შემდეგში მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, დალი ფიროსმანაშვილი ერია, რომელმაც იქვე ახლოს, ცხენის დანახვაზე ფერ-ფური დაკარგა, მიუახლოვდა, მიუაღერსა, გადაუსვ-გადმოუსვა ბედაურს კისერზე ხელი, შემდეგ უცებ სწვდა ფაფარში, შემოახტა და ჰაიდა!..

ყოველივე ამის დანახვაზე პრაქტიკანტთაგან ერთს გული წაუვიდა, მეორეს სუნთქვა შეეკრა, მეოთხეს კრუნჩხვა დაემართა, ხოლო მეოთხემ ღეთისმშობელს დაუწყო ვედრება...

დააჭენებს დალი ბედაურს კივილ-კისკისით, გრიგა-ლივით აუქროლ- ჩაუქროლებს თანაჯგუფელებს და ერთ-ერთი ასეთი მანევრის დროს უცებ ცხენიდან ზღართანი მოადინა.

მისცვივდნენ მაშინვე დაზარალებულს თავზარდაცემული თანატოლები. ცოცხალი რომ დახვდათ, მადლობა შესწირეს უფალს. წამოაყენეს, მხრებში შეუდგნენ, გამორიდეს იქაურობას და ის-ის იყო, სადღაც მიასვენეს, რომ ზეზვაც შეშლილივით თავს დაეცა მას. ხელმძღვანელმა არ იცოდა როგორ დახვდებოდა მობარებული სტუდენტი და სააქაოს რომ იხილა, ისეთი შეუცაცხანა, ლამის საიქიოს გაისტუმრა. შემდეგ კი შუბლზეგადასხმული ცივი ოფლი მოიწმინდა და ყველას მისამართით ხმამაღლა განაცხადა: ხალხნო, აკი გითხარით, იქ რომ ჩახვალთ **ექსტრავაგანტურად** არ მოიქცეთ-მეთქი!..

რომ მოსულიერდა, დალის ეთქვა: არ ვიცოდი **ექსტრავაგანტურის** მნიშვნელობა, თორემ ცხენისკენ არც ვავიხედავდიო.



## აქ-ი გაუყავს უწყობი ტაში

აგვისტოს ცხელი დღეა. ბუდი ასდის ქალაქს. ხუტა ბერულავა მირეკავს და ყოველგვარი კითხვა-მოკითხვის გარეშე მეუბნება – ნომად, ხომ იცი, მე შენთვის არაფერი მითხოვია და ახლა უარი არ მითხრაო.

ცოტა არ იყოს, კი გამიკვირდა ასეთი ცივი და კატეგორიული ტონი ისეთი თბილი კაცისგან, როგორც ბატონი ხუტა იყო და გაკვირვებით ვიკითხე, რაში იყო საქმე.

– ხვალ ტერიანის საღამოა ნინოწმინდაში, სიტყვით უნდა გამოხვიდე, დილის ექვს საათზე ვიკრიბებით მწერალთა კავშირის წინ და მოდი, დანარჩენს იქ გეტყვი.

– ვინ ტერიანი, რა ტერიანი, პირველად მესმის ეს გვარი, ბატონო ხუტა.

– ვაჰან ტერიანი, სომეხი პოეტი. გელოდები, არ დამაღლატო, ბონდო არველაძე იქნება კიდევ.

ნინოწმინდაში (ყოფილი ბოგდანოვკა) გასეირნებას რა სჯობდა, მაგრამ ვაჰან ტერიანის იუბილეზე სიტყვით გამოსასვლელად ნამდვილად არ ვიყავი მზად. მიუხედავად ბატონი ხუტას პიროვნების მიმართ დიდი პატივისცემისა და კიდევ იმისა, რომ ამას საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი მთხოვდა ოფიციალურად, როგორც ამ კავშირის წევრს, თავი შორს დავიჭირე – ბატონო ხუტა, მე რა შუაში ვარ, არ ვიცნობ ვაჰან ტერიანის შემოქმედებას, აბა რა უნდა ვთქვა უცნობ სომეხ მწერალზე-მეთქი... და ჩემს მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ „სომეხი“ თითქოს გონება გამინათაო – სომხური ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე ზეზუა მედულაშვილი გამახსენა და, ჩემი ჭკუით, ვგრევე დავაკვალიანე თანამოსაუბრე – ბატონო ხუტა, ვაჰან ტერიანის შემოქმედებას თუ ვინმე იცნობს და მასზე სიტყვით გამოსვლა შეუძლია, ზეზუა მედულაშვილზე უკეთესი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება, მე რა შუაში ვარ, მას სთხოვეთ, გადარევეს დიდპატარას, ტაშით დაინგრევა იქაურობა-მეთქი.

– ააუ!... არ გადამრიო! არ გამაგონო მაგის სახელი! ხომ იცი, როგორ მიყვარხარ! მე შენთვის არაფერი მითხოვია!... ორი კვირაა საკავშირო ძებნა მაქვს გამოცხადებული მასზე, არ მისხენო მისი სახელი!..

კაცს რამე არ დაემართოს-მეთქი და ზეზვას სახელის ხსენების გამო სულ ბოდიშები და ბოდიშები ვუხადე. მერე ცოტა სილბო რომ შევატყვე ხმაში, შევპირდი – რა ლაპარაკია, ბატონო ხუტა, როგორც ბრძანეთ, ხვალ დილის ექვს საათზე მწერალთა კავშირის წინ ვიქნები-მეთქი.

ყურმილი დავდე და ხელებში ჩავრგე თავი, გონება იქნებ ასე უფრო მოვიკრიბო-მეთქი. გონებაც ისე მოვიკრიბე, რომ მწერალთა კავშირის წევრთა ტელეფონების წიგნში ზეზვაზე დაუწვეე ძებნა მედულაშვილის გვარს.

რა თქმა უნდა, არ მქონია იმის ილუზია, რომ დავრეკავდი და ზეზვა ეტაკებოდა ყურმილს, მაგრამ მაინც გული დავიჯერე. ცოტა ხანს ვუსმინე ზუმერის წყვეტილ ხმას. მერე ფანჯარასთან მივედი და გონებაში ნამცეც-ნამცეც დაუწვეე აღდგენა ზეზვას ბინის მისამართს, სადაც ხუთი წლის წინ, ზუსტად ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ბიჭვინთიდან ჩამოტანილ ხმელ თევზზე რომ დამპატიუა ზეზვამ. მაგრამ იქიდან გონებას მხოლოდ ისღა შემორჩენოდა, ლუდის ბოთლების რაჩხარუნხით თუ როგორ ავედით ქალაქის რომელიღაც დასახლების, რომელიღაც მასივის, რომელიღაც მიკრო რაიონის, რომელიღაც კვარტლის, რომელიღაც კორპუსის მეოთხე თუ მეხუთე სართულამდე მე და ზეზვა. მერე კი უკუნსა და წკვარამს მოეცვა ყველაფერი.

თბილისში ხომ ყველა დასახლება, მასივი, ყველა მიკრორაიონი, ყველა კვარტალი და ყველა კორპუსი ერთმანეთსა ჰგავს... მაინც არ დავყარე ფარ-ხმალი. ერთადერთი ის მოვიგონე, რომ ზეზვას ვარკეთილის დასახლებაში ჰქონდა ბინა. არც ვაციე, არც ვაცხელე, დავქოქე მანქანა და გავემართე მის საძებნად. მეუღლემ ჩამიჯდა მანქანაში, – შინ ყოფნას გარეთ გასვლა მირჩევნიაო.

შევედით აღნიშნულ დასახლებაში. დავიწყეთ ბოდი-  
ლი ხან ზევით, ხან ქვევით, ხან აქეთ, ხან იქით და ის  
არის, ხელმოცარულნი უკან უნდა დავადგეთ გზას, რომ  
მეუღლე მხოლოდნელად შეჰკივლა – ზეზვა! ზეზვა!...  
ზეზვა!... გააჩერე!...

ამ პაპანაქება სიცხეში ჩემს შემყურე მეუღლეს აღ-  
ბათ მოლანდება დაეწყო-მეთქი და თავზარი დამეცა, მაგ-  
რამ მივხვდი, რომ მართლა ზეზვა იყო. არ მახსოვს, რო-  
გორ გავაჩერე მანქანა. მახსოვს, თუ როგორ დავინახე  
ეზოში, მეწადის ჯიხურთან, ღომინოს სათამაშოდ მაგი-  
დას შემოსხდარი რამდენიმე კაცი, მათ შორის ზეზვა.

– ვაა, ამათ ვისა ვხედავ! – ჩემი ნომადი და შორე-  
ნა!.. თქვენ შემოგვევლით ჩემი თავი, აბა, აქეთ რა ქარმა  
გადმოგაგდოთ, გადმოდით მანქანიდან, – დაყარა ღომი-  
ნოს ქვეები ზეზვამ და გამოემართა ჩვენკენ.

– ზეზვა, ჩვენ გადმოვიდეთ კი არა, შენ ჩაგვიჯექი  
მანქანაში, – მივაგებე მას და ბოდიში მოვუხადე მის მე-  
გობრებს.

– როგორა ხართ ხალხნო, საიდან სადაო...

– საიდან სადაო და შენ დაგეძებთ, ჩემო ზეზვა.

– მერე და მე თუ დამეძებთ, აქეთ რა გინდოდათ!

– ერთხელ რომ ვიყავი შენთან ხუთი წლის წინ, ის  
მახსოვდა და წამოვედი აქეთ.

– მერე და მესამე მასივში რამ მოგიყვანათ, მე ხომ  
პირველში ვცხოვრობ. აქეთ შემთხვევითა ვარ გამოსული!

მადლობა ღმერთს, რომ ვერ აღვიდგინე ზეზვას  
ზუსტი მისამართი, თორემ ხომ გამორიცხული იყო მისი  
პოვნა, გავივლე გონებაში და ვუთხარი ზეზვას თუ რა  
ქარმა გადმომაგდო აქეთკენ.

მოკლედ, დავითანხმე ზეზვა და იმდენიც მოვახერხე,  
რომ ბატონ ხუტასაც დავალაპარაკე ტელეფონით და  
მხოლოდ ამის მერე ამოვისუნქე შევებით.

არ ვიცი, ოდესმე ვინმეს თუ დაუჭერია ბნელ ოთახ-  
ში არ არსებული კატა, მაგრამ იმ დღეს მე იგი ნამდვი-  
ლად დავიჭირე...

გათენდა მეორე დილა. დათქმულ დროს შევხვდით ერთმანეთს და დავიძარით დათქმული ადგილიდან. საქართველოს მწვერალთა კავშირის დელეგაციის წევრებს თავი ქუდში გვაქვს, მანქანაში გვიზის ვაჰან ტერიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ისეთი მცოდნე, რომლის ბადალი სიზმარშიაც არ მოელანდება სომხეთის მწვერალთა კავშირის დელეგაციის არც ერთ წევრს და საერთოდ არავის. წინასწარ მიპყრობს სიამაყის ის განცდა სახალხო ზეიმზე ზეზვას სომხურად გამოსვლის მერე რომ დამეუფლება და მესმის იმ ტაშის გრიალის ხმაც, მას რომ მოჰყვება.

გავცდით წყნეთს, პანტიანს. გავიარეთ ერთი დასახლება, მეორე...

– იქნებ სადმე წყარო იყოს, წაგვეხემსა ცოტა, – ჩაილაპარაკა ბატონმა ხუტამ.

– მშვენიერი წინადადებაა, ბატონო ხუტა, – დაუდასტურა ბონდომ.

– წახემსება ცუდი არ იქნება, კარგა მანძილი გვაქვს გასაველელი, – დავუმატე მე.

– წყარო როგორ არ იქნება, ეხლავე გავიგებ მაგას, – გადავიდა პირდაპირ საქმეზე ზეზვა, – აი, იმ ბიჭებთან შეავაჩეროთ მანქანა, ერთი მაგათა ვკითხავ.

შეაჩერა მძღოლმა მანქანა იმ ბიჭებთან, უფრო სწორად ღობესთან კუშტად მდგარ ადამიანთა ერთ ჯგუფთან, რომელიც შორიდან უნიჭო მოქანდაკის მიერ ბრინჯაოში ჩამოსხმულ კომპოზიციას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ არსებათა ჯგუფს. – ესენი სომხები იქნებიან და სომხურად მიმართა მათ.

ზეზვას ხმის ამოდება და ჩვენს მიერ უნიჭო მოქანდაკის მიერ ბრინჯაოში ჩამოსხმულ კომპოზიციად აღქმული ადამიანთა ჯგუფის აფეთქება ერთი აღმოჩნდა. ვინ რას ეცა და ვინ რას. კიდევ კარგი, იმარჯვა მძღოლმა, მანქანა უმაღვე მოსხლიტა ადგილიდან და სულ რამდენიმე ქვა თუ წამოგვეწია.

მადლობა ღმერთს, ამით დასრულდა ყველაფერი..

– ეს რა ღვთის რისხვა დაგვატყდა თავს! – აღმოხდა გაოგნებულ ბატონ ხუტას.

– რა უნდოდათ, რას გვერჩოდნენ? – ასევე სამართლიანად ვერ დამალა აღშფოთება ბონდომ.

– იქნებ ვინმეში შევეშალეთ. – დავსვი რიტორიკული შეკითხვა.

– ხალხნო, ესენი აზერბაიჯანლები ყოფილან, ჩვენ სომხები ვეგონეთ და ამასა მოჰყვა ყველაფერი, – დაგვამშვიდა ზეზვამ.

წყალი არ გაუვიდოდა ზეზვას სიტყვებს.

ეს ის დროა, როცა პიკს იყო მიღწეული ყარაბაღის ომი. უმოწყალოდ ხოცავდნენ ერთმანეთს აზერბაიჯანელები და სომხები, ღმერთს შესჩუხჩუხებდა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი. წინაღამით ხომ მთლად საშინელი კადრები აჩვენეს ტელევიზიით...

ამის მერე კიდევ თუ ვახსენებდით საჭმელს, არ გვეგონა, მაგრამ შიმშილის გრძნობამ მაინც თავისი გაიტანა და ისევ დავუწყეთ ძებნა წყაროს, რომელმაც ერთ-ერთი დასახლების ცენტრში ზუსტად ისეთივე ადამიანების ჯგუფთან მიგვიყვანა, როგორსაც ის-ის იყო, ძლივს დავადწიეთ თავი.

– ესენი აზერბაიჯანელები იქნებიან – ჩაილაპარაკა დაჯერებით ზეზვამ და აზერბაიჯანულად მიმართ მათ.

ვაი, რომ ისინი აზერბაიჯანელები კი არა, სომხები აღმოჩნდნენ და ისევ განმეორდა ყველაფერი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ქვების ნაცვლად, აგურები დაგვიშინეს.

– გააჩერეთ ეს კაცი, სანამ არ დაახოცინებს ჩვენ თავს! – ცოტა არ იყოს, ხმამაღლა მოუვიდა ბატონ ხუტას.

– ზეზვა, აწი მაინც არ ამოიღო ხმა! – იპოვა გამოსავალი ბონდომ.

– ქართული აქცენტით მაინც მიგემართა მათთვის, შე დალოცვილო, – ვუსაყვედურე ზეზვას.

– აბა, მე რა ვიცი, სომხები რომ მეგონა, თათრები ყოფილან, თათრები რომ მეგონა – სომხები. კი ვერ გარ-

ჩვე აქაურ სომხებს და თათრებს ერთმანეთისგან. არადა ორივენი ხომ გასომხებული და გათათრებული ბერძნები არიანო, დაუმატა მერე.

სამწუხაროდ, ყოველთვის როდი მართლდება ხალხური სიბრძნე – რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო, ზოგჯერ პირიქითაც ხდება, შეიძლება ენების ცოდნამ, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა, საბედისწერო შედეგი გამოიღოს.

აი, ასეთი ფათერაკებით ჩავადწიეთ ნინოწმინდის რაიონულ ცენტრამდე, ჩავბარდით მასპინძლებს და ამოვისუნთქეთ კიდევ, საიდანაც ზღვა ხალხით სავსე სტადიონის საგანგებოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ამოვყავით თავი.

ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო, ისეთი, როგორც ჩვენ ვიცით – შოთაობა, ვაჟაობა, ილიაობა...

სომხეთის მწვერალთა კავშირთან ერთად ერევნიდან ჩამოსულიყო მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირის დელეგაციები. გარდა ამისა, სტუმართა შორის იყვნენ სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი გამოჩენილი ადამიანები როგორც სომხეთიდან, ისე მსოფლიოს სხვადასხვა სომხური დიასპორებიდან.

მართალია, ვაჰან ტერიანის სომეხი მწვერალია, მაგრამ რადგან იგი საქართველოს მკვიდრი იყო და ზეიმიც საქართველოში, ანუ მის სამშობლოში იმართებოდა, მასპინძლად საქართველოს მწვერალთა კავშირი ითვლებოდა და მისი გაძღოლაც ბატონ ხუტას ეკისრებოდა.

ბატონმა ხუტამ, ქართულ-რუსულად მისაღმებისა და შესავალი სიტყვის მერე სიტყვა გადასცა სომხეთის მწვერალთა კავშირის თავმჯდომარეს.

ამის მერე, ვაჰან ტერიანის მიმართ სიყვარულის გამოხატვაში ტრიბუნაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველი და სომეხი მხატვრული სიტყვის ოსტატები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცნობილი წარმომადგენლები, სტუმრები თუ მასპინძლები...

აქვე აღვნიშნავთ, იქ ჩვენი დელეგაცია დაამშვენა ერევნიდან სომხურ დელეგაციასთან ერთად ჩამოსულმა, საქართველოს მწვერალთა კავშირის წევრმა, შემკობილმა

ადამიანმა და სომხური ლიტერატურის შესანიშნავმა მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა, რომელმაც თავისი გამოსვლით მართლაც რომ მოხიბლა ყველა.

ასევე მოხიბლა ყველა თავისი გამოსვლით ცნობილმა არმენისტმა და დიდებულმა ადამიანმა ბონდო არველაძემ, რომელმაც სიტყვა სომხურად დაამთავრა, რის გამოც ყველას აღფრთოვანება და მქუხარე ტაში დაიმსახურა.

ხმის ამოდებამდე დავიმსახურე ოვაციაში გადასული მქუხარე ტაში ჩემი სახელისა და გვარის გამოცხადებისთანავე, როგორც ქართველმა პოეტმა. ხოლო სიტყვის დასრულებას თუ რა მოჰყვებოდა, ადვილი წარმოსადგენია...

ბატონ ხუტას ზეზვა გემრიელ ლუკმად შემოენახა ბოლოსთვის. ზეზვას უნდა გაეოგნებინა დიდი და პატარა, ზეზვას უნდა გამოეფინა ქართველი კაცის გენია და აი, მოაწია ამ ჟამმაც, სიტყვა გადაეცა ზეზვა მედულაშივლს.

დაიწყო ზეზვამ, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. სომხური არ ვიცოდი, მაგრამ სომხურის რა ცოდნა უნდოდა იმას, ამ ენის გემო და ლაზათი შეგეგრძნო. სიტყვას წარმოთქვამდა იგი რიტმულად, ლექსნარეოდ. ვერ გაადგენებდი გონებას, სად თავდებოდა პროზა და სად იწყებოდა პოეზია. ჟრუანტელი მივლიდა ტანში. ახლა აქაური ტაშის გრიალის ხმა ცას მისწვდება-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის.

დაასრულა ზეზვამ სიტყვა და როცა ცას უნდა მისწვდებოდა ზღვა ხალხის ტაშის გრიალის ხმა, მან მხოლოდ გაიტყაპუნა.

რა მოხდაო, იტყვის გაოგნებული მკითხველი. რა უნდა მომხდარიყო. ზეზვა ისეთი ბრწყინვალე სომხურით გამოვიდა, რომ იგი ყველამ გაქართველებულ ანუ ხელიდან წასულ სომეხად ჩათვალა.

ბუნებრივია, ასეთ ზეიმს შესაფერისი სუფრაც მოჰყვებოდა, სადაც თამადად, ასევე ბუნებრივია, მასპინძელი – ბატონი ხუტა დაინიშნა.



ადღეგრძელო ბატონმა ხუტამ სომხეთის მწერალთა კავშირის დელეგაცია თავისი ძველი მეგობრის მეთაურობით, რასაც, პროტესტის ნიშნად, სუფრიდან ოცი კაცის გასვლა მოჰყვა.

ადღეგრძელო ბატონმა ხუტამ სომხეთის კომპოზიტორთა ჯავშირის დელეგაცია, ასევე თავისი ძველი მეგობრის ხელმძღვანელობით, რასაც, ასევე პროტესტის ნიშნად, სუფრიდან ამდენივე კაცის აკრეფა მოჰყვა.

ადღეგრძელო ბატონმა ხუტამ სომხეთის მხატვართა კავშირის დელეგაცია, ასევე თავისი ძველი მეგობრის მეთაურობით და, ასევე პროტესტის ნიშნად, რატომ ოცზე მეტმა კაცმა არ დატოვა სუფრა.

ლამის არაფერს დარჩა სუფრაზე.

რა ბზიკმა უკბინაო ამ ხალხს, იკითხავს გააკვირვებით მკითხველი. ახლავე მოგახსენებთ: ეს ის დროა, როცა საბჭოთა კავშირის დაშლას, მოკავშირე რესპუბლიკებში, სოკოებივით მოჰყვა ალტერნატიული შემოქმედებითი კავშირები, რასაც ასევე მოჰყვა ის, რომ ძველები არ სცნობდნენ ახლებს და ახლები – ძველებს.

ამ გაწამაწიაში სუფრის ბოლოდან ვიღაც გაწრიპულმა შავტუხა თმახუჭუჭა ახალგაზრდამ სომხურად არიის მსგავსი რაღაც ამოუშვა. ზეზვამ ჩაილაპარაკა – ნახე როგორ კიკინებს, თითქოს, ცხვარი ბატკანს იგებსო და ყელმოდერებულ ბუღბუღს ბოლომდე ჰანგებად დაღვრა არ აცალა ისე, ერთი ისეთი მიუშვა, რომ თავისკენ მოაქცია ყველა და სუფრიდან ალაგებული ხალხიც სათითაოდ შემოლაგდა სუფრაზე.

ასე ბედნიერად დასრულდა ვაჰან ტერიანობა და ჩვენც, ვინაიდან საკმაო გამოცდილება გვქონდა მიღებული ამ გზაზე, ყოველგვარი ხიფათის გარეშე დავბრუნდით დედაქალაქში.



## პყრძან, პყრძან, შინსა პყრსა

ერთხელ ზეზვას ვკითხე, სიმღერის ნიჭი ვისგან გა-  
მოგვყვა, დედისგან თუ მამისგანო. – არა კაცო, მამისგან  
არა, დედისგან გამომყვაო და მოაყოლა:

დედა გვარად ლუაშვილი იყო ხუთი დეიდა მყავდა,  
სულ ექვსი იყვნენ, ყველანი მღეროდნენ და ფანდურსა  
და გიტარაზე უკრავდნენ, ისეთი ტკბილი ხმა ჰქონდათ...  
თანაც ისეთი ღარიბები იყვნენ, ან ფანდური როგორ იშო-  
ვეს, ან გიტარაო...

იშხნელები ოთხნი იყვნენ, ლუაშვილები ექვსი ყოფი-  
ლან-მეთქი, – რას ამბობ, ექვსი კი არა შეიძინი იყვნენ,  
ერთი ადრე გარდაცვლილა, სიმღერაში მასთან თურმე  
ვერც ერთი ვერ მოდიოდაო.

მერე თავისი ამბავი მოაყოლა: მე კიდევ სტუდენტო-  
ბის წლებში ხან სად ვათევედი დამეს და ხან სად. ერთი  
მეგობარი მყავდა გივი ზუკაკიშვილი, **პურის მოედანზე**  
№5-ში ცხოვრობდა, ხშირად დავდიოდი მასთან, დამეც  
ვრჩებოდი, ფიზიკოსი იყო, სოსუმთან რომ რეაქტორი იყო,  
იქ მუშაობდა შემდეგ, მხატვარიც იყო... ბებიაჩემი დახა-  
ტა თავის ქოხში, კერიასთან, ის კი არა ჩვენი ვირიც კი  
ჰყავს დახატული (მისი დედა მეორე მსოფლიო ომში  
წაიყვანეს. მაშინ, კავკასიის დასაცავად, მთებში  
სასიარულოდ, ვირებს გაუკეთეს მობილიზაცია).

გივის მეზობელი ჰყავდა ერთი ქალი – ოლგა ლუკი-  
ანოვა რაზგილდევა, ქმარი ხარკოველი სომეხი ჰყოლია,  
თვითონაც ხარკოველი იყო. მუსიკალური განათლება  
ჰქონდა, მღეროდა, ფრანგულიც იცოდა, ფორტეპიანოზე  
უკრავდა. არ მეშვებოდა ის დალოცვილი, სულ რომან-  
სებს მამღერებდა. ხმა ბუნებრივი მქონდა, ღია ბგერით  
ვიღებდი მაღალ ნოტებს. ვოკალურ ტექნიკუმში ჩავაბარე,  
მაგრამ მაღე დავანებე თავი, სახლში ინსტრუმენტი არ  
მქონდა და მე კიდევ ვერ ვასწრებდი მუსიკაზე და უნი-  
ვერსიტეტში ერთად სიარულს. მომღერალმა ხმას უნდა  
მოუაროს, ქარში არ უნდა იმღეროს, სიცივეში ყელი შეხ-

ვეული უნდა ჰქონდეს. აბა, მე რა ვიცოდი ხმის მოვლისა, ქარს და ნიავს ხომ არ დაეუწყებდიო გარჩევას.

ზეზვას ვოკალური მონაცემები მხოლოდ რომანსებოთ არ შემოფარგლულა, მას არიებშიც უპოვია ერთ დროს თავისი ასპარეზი:

ერთხელ ზეზვა თურმე თბილისში, ალექსანდრეს ბაღში მდებარე რესტორან **სტელაში** ქეიფობდა. შეზარხოშებული სუფრიდან ხელის დასაბანად გასულა, ამ დროს ვიღაცას, ასევე ზეზვასავით შეზარხოშებულსა და სუფრიდან ხელის დასაბანად გამოსულს, ზაქარია ფაღიაშვილის ოპერა „აბესალომი და ეთერიდან“ აბესალომის არია წამოუწყია:

**მურმან, მურმან, შენსა მზესა,  
ეთერ ქალი რა დღეშიაააა!**

ზეზვა ეგრევე გამოხმაურებია:

**რას კითხულობ ცათა სწორო,  
ეთერ ქალი რა დღეშიააა!..**

იმ ვიღაცას ნაღველი ამოუყოლებია გულიდან:

**ჩემთან იყო იმ ტანჯვაში,  
შენთან არის რა დღეშიააა!..**

ზეზვას, ცოტა არ იყოს, მედიდურად მიუგია:

**შენ ხომ იცი ბროლის ციხე,  
ზეცის მაღალ თაღებშია,  
შიგ მიზის ქალი ეთერი,  
ყელიც მოუღერებიააა!..**

ამის გაგონებაზე იმ ვიღაცას, მთელი ხმით, გულიდან ამოუხეთქავს:

ჩემთან იყო იმ ტანჯვაში,  
შენთან არის რა დღეშიაააა!..

ზეზვას, ვითომც არაფერიო, მშვიდად გაუმეორებია:

**ყელიც მოუღერებიაა!..**

შემდეგ ორივეს ერთმანეთისთვის შეუწყვიათ ხმები:

**ყელიც მოუღერებიაა!..**

ამის მერე ერთმანეთიც გაუცვნიათ. ერთი ხომ ვიცით ვინც იყო და მეორე – ოპერის ცნობილი მომღერალი და რეჟისორი, ჯემალ ანჯაფარიძე – ზურაბ ანჯაფარიძის ძმა აღმოჩნდა თურმე.

სხვათა შორის, ანჯაფარიძეებსაც დედისგან აქვთ გამოყოფილი სიმღერის ნიჭი.

სამწუხაროდ, ზეზვა და ჯემალი სხვა დროს არ შეხვედრიან ერთმანეთს რესტორან **სტელას**, ასე ვთქვათ, ხელსაბანის სცენაზე და ჩვენი გმირის საოპერო კარიერაც, ასე დასრულებულა.



## თანაკლასობა

მართალია, კაცმა შეიძლება ვერ გაიხსენოს სად და როდის შეისწავლა ესა თუ ის ენა, რომლებსაც ის ფლობს, მაგრამ არის ენები, რომელთა სწავლის შესახებ ხსონა არასოდეს მიეცემა დავიწყებას. ზეზვასთვის ერთ-ერთი ასეთთაგანი აფხაზურია.

ერთხელ გაგრაში ზეზვა, გივი აღხაზიშვილი და დათო ბოკუჩავა გასტრონომში შესულან ღვინის საყიდლად. დახლები ათასგვარი სამარკო ღვინით კი ყოფილა აჭრელებული, მაგრამ მათთვის სასურველი „ტიბაანი“ იქ ვერ უნახავთ. გამყიდველს უთქვამს, ტიბაანი კი გვაქვს, მაგრამ ამ დილის მიღებულია, გაფორმებული არ არის და დირექტორის მოსვლამდე ვერ გაყვიდით. დათო მომიყვავა: ამასობაში მაღაზიაში ასე 40-45 წლის მამაკაცი შემოვიდა. ზეზვა და იგი ცოტა ხანს შეაშტერდნენ თურმე ერთმანეთს და შემდეგ გადახვივნენ. ჩვენ პირდაღებულნი შევჩერებოდით მათ.

– ეგრე რად გვიყურებთ, ბაღლებო, ჩვენ კლასელები ვართ მათ! მერვე კლასში ერთად ვსწავლობდითო ლიბავის საშუალო სკოლაში, სულ ერთი საკლასო ოთახი იყო. პირველიდან მეათე კლასამდე გაკვეთილები ერთდროულად ტარდებოდა, აფხაზური მაშინ ვისწავლეო, – თქვა ამაყად ზეზვამ და თავისი მეგობარი გაგვაცნო.

მასპინძელმა ჩვენი პატივისცემა მოინდომა, მაგრამ პურმარილზე ვერ დაგვითანხმა, ეს საქმე შემდეგისთვის გადავდევით. უკან კი მასპინძლის მიერ მორთმეული ორი ყუთი ტიბაანით ხელდამშვენებულნი გამოვბრუნდითო.

### P.S.

როგორც ზეზვამ მომითხრო, ბიძამისი მაშინ განსახლების სამინისტროს განყოფილების უფროსი ყოფილა. ეს ის პერიოდი, როცა მთიდან ბარში მოსახლეობის ჩამოსახლების პროცესი მიმდინარეობდა. ერთხელაც, იგი, ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინებით, გაგრაში გაუგზავნიათ, რომელსაც პატარა ზეზვა დასასვენებლად

თან წაუყვანია. გემრიელად გაუტარებია ზეზვას ზაფხული, მაგრამ ბოლოს, ჩამწარებია – წამოსვლის წინ, თევზაობისას, გახრწნილი თევზის ძვალი შერჭობია ფეხში და სისხლი მოწამვლია. ბავშვი იქვე საავადმყოფოში მოუათასებიათ. ამასობაში სექტემბრიც დამდგარა და ზეზვა, დროებით, სწავლის გასაგრძელებლად, ლიძავის სკოლაში შეუყვანიათ და ზეზვას აფხაზურიც მაშინ უსწავლია.



## ქართულ-სპარსულ-აზერბაიჯანული ქსრომუჰი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის გილანის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის კარგა ხანია გაიღო მეგობრობის ხიდი, რომელზედაც გადი-გამოდიან, სხვადასხვა სახის გაცვლითი პროგრამებით, ამ უნივერსიტეტთა სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. არის ურთიერთ შორის სითბო და სიყვარულის ფრქვევა.

აი, ამ სახით, ერთ მშვენიერ დღეს, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია დამეგობრებული უნივერსიტეტის დელეგაცია პროფესორ იუსეფ-ფურის ხელმძღვანელობით. ეს ის იუსეფ-ფურია, რომელმაც სახელგანთქმული ირანისტისა და მთარგმნელის მაგალი თოდუას მიერ მისთვის საგანგებოდ და უანგაროდ შესრულებულ მეცნიერულ პწკარედულ თარგმანზე დაყრდნობით, სპარსულ ენაზე პროზაულად შესანიშნავად აამეტყველა „ეფუხისტყაოსანი“.

ბატონი მაგალი და თქვენი მონა-მორჩილი, როგორც ქუთაისის უნივერსიტეტის ირანისტიკის დარგის წარმომადგენლები, მასპინძლობას ვუწვევდით საპატიო სტუმრებს.

ბარემ, გამოვიყენებ შემთხვევას და აქვე დავსძენ – ისეთ მასპინძლობას როგორც ირანელი გასწევს, ალბათ, იშვიათად შესწევს ვინმე და ჩვენც, როგორც მასპინძლები, ერთგვარად დამაბულებიც კი ვიყავით...

მართალია, ირანელები ქუთაისს ეწვივნენ, მაგრამ სამშობლოში ისე ხომ არ გავუშვებდით, საქართველოს დედაქალაქი არ დაეთვალიერებინათ. თბილისურ პროგრამაში მირზა ფათალი ახუნდოვის ახლადგახსნილი სახლ-მუზეუმიც შევიტანეთ.

მოწინავე იდეების მატარებელი ადამიანი, ეროვნებით აზერბაიჯანელი, მირზა ფათალი ახუნდოვი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში, აღმოსავლური ენების თარჯიმნად. იგი, რო-

გორც მწერალი, ერთნაირად ეკუთვნის აზერბაიჯანულ და სპარსულ ლიტერატურას, რადგან წერდა ორივე ენაზე. ბუნებრივია, სტუმრები სიამოვნებით დაათვალიერებდნენ მის სახლ-მუზეუმს.

და, აი, ორთაჭალაში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მივადექით ამ დიდი მოღვაწის სახლ-მუზეუმის კარებს, სადაც აღმოსავლური თავაზიანობით შემოგვეგება ერთ-ერთი მისი მუშაკი, რომელმაც არც აცია, არც აცხელა ისე, შემოგვთავაზა:

– ბატონებო, ალბათ, თარჯიმანი დაგჭირდებათ.

– რა ვიცი, დაგვჭირდება? – შეუბრუნა კითხვა ბატონმა მაგალიმ და სხვათაშორის ჰკითხა თუ რომელი ენის თარჯიმანი ჰყავდათ.

– თქვენ რომელი გნებავთ? – იყო სხარტი პასუხი.

– ჩვენ ირანელებს ვმასპინძლობთ, – ჩავერთე მე.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა და შურდულივით გავარდა სადღაც.

ამასობაში აივანზე გავედით, გვინდოდა, დარბაზში შესვლამდე, სტუმრები ძველი თბილისის მშვენიერებით დაგვეტკობო, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, სად იყო და სად არა, ქორივით დაგვაცხრა თავს თარჯიმანი... ზეზვა მეღულაშვილი.

კარგა ხნის უნახავები ვიყავით და ერთ რამედ ღირდა ჩვენი შეხვედრის ცქერა...

სპარსული ენის თარჯიმნის აუცილებლობას ნამდვილად არ განვიცდიდით ბატონი მაგალი (ზეზვას სპარსული მასწავლებელი) და თქვენი მონა-მორჩილი, მაგრამ ამ შემთხვევას რომელი ჭკუათმყოფელი გაუშვებდა ხელიდან...

სადაც ზეზვაა, იქ ხალისს რა გამოლევს და ისიც, თარჯიმნობის პროცესში, სულ სიცილ-ხარხარით, სეტყვა-სავით გვაყრიდა თავზე ქართულ-სპარსულ-აზერბაიჯანულ ექსპრომტ-კაფიებს.

დაკვირვებულ მკითხველს არ გამოეპარებოდა ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული: „ისეთ მასპინძლობას როგორც



ირანელი გასწევს, ალბათ, იშვიათად გასწევს ვინმე და ჩვენც, როგორც მასპინძლები, ერთგვარად დაძაბულებიც კი ვიყავით“ - მეთქი, მაგრამ, დაძაბულობა რა სახსენებელია, შეიძლება ითქვას, მასპინძლები იმ დღეს წელში გავიმართეთ – აბა, რომელ ქვეყანაში, რომელი მასპინძელი, ისიც შემთხვევით, დაახვედრებდა სტუმარს ზეზვა მელულაშვილისთანა თარჯიმანს...



## ნუთა, მართლაც, ას იყო რეპლიკა

არიან რითმას გამოკიდებული ადამანები, რომლებიც ლექსის ამ ერთ-ერთი კომპონენტისთვის ყველაფერს გაწირავენ. სამწუხაროდ, ასეთთა შორის აღმოჩნდა ჩვენი ზეზვაც. აბა, სხვა რას მივაწეროთ ის, რომ მან ერთი რითმისთვის, რაც არ უნდა კარგი ყოფილიყო იგი, გაწირა მშობელი კახელი კაცი, კაცი ალალი და მართალი, კაცი ბურჯი და სინდისი ერისა...

ღმერთო ჩემო, არ ვიცი, როგორ უნდა ჰყავდე გამოხრული რითმის ჭიას ისე, რომ მშობელ ხალხზე ასეთი რამე წამოგცდეს:

**„საცა კი ნახო კ ა ხ ე ლ ი, კლდესთან მიიყვა  
ჰ კ ა, ხ ე ლ ი“.**

შე დალოცვილო, ზეზვა, ნუთუ ამ დუნიაზე კახელის მეტი კლდესთან მისაყვანი და გადასაგდები ვერავენ ნახე. დაილოცოს შენი სახელი უფალო!..

კი, როგორ არა, ნახე, ალბათ, რამდენიც გინდა იმდენი, მაგრამ ეტყობა, რითმამ დაგიბნია გონება... ახლა კი უცოდველ კრავად მოგაქვს თავი და თავს იმართლებ – მე ისე კი არ მითქვამს, ასე ვთქვიო:

**„ვისაც არ უყვარს კ ა ხ ე ლ ი, კლდესთან მიიყვა  
ჰ კ ა, ხ ე ლ ი“.**

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალიც მიუმატე და შენი აუკაცობა, თანაც მეგობარს, ნიკო შაველიაშვილს დააბრალებ – მან გამიერცვლა არასწორად ეს სტრიქონები, ჭაჭა ჰქონდა დაღეული და უკუღმა მოესმა ჩემი ნათქვამიო...

ნათქვამია, ენას ძვალი არა აქვსო. ეს ისეთი სიმართლეა, როგორც მაშინ ნიკოს ჭაჭა ექნებოდა დაღეული!..

ოო, ზეზვა, ზეზვა, ნეტა მართლა ასე იყოს!... საქვეყნოდ მოგიხდინდი ბოდიშს.

ძვირფასო მკითხველო, ჩვენში დარჩეს და, როგორც  
ზეზვას ზურია მითხრა, ჩვენს გმირს უთქვამს – რითმის  
გულისთვის ჩემი თავიც ბევრჯერ გამიფუჭებიაო.



## „ველოკამ ჯორი ყურვიითა“

მისაღმებისას, როცა მოიკითხავ ზეზვას – როგორა ხარო, გიპასუხებს – „რავი, ველოკამ ჯორი ყურვიითაო“.

ერთხელაც, მოკითხვისას, ზეზვას გავლენით, ვახუშტი კოტეტიშვილს მეც ასე მიფუგე – „რავი, ველოკამ ჯორი ყურვიითა“-მეთქი.

– ჯორი ყურვიითა კი არა – ჯორი კუდივიითაო, – შემისწორა მასწავლებელმა (ვახუშტი კოტეტიშვილი უნივერსიტეტში ჩემი სპარსული ენის მასწავლებელი და, შეიძლება ითქვას, მოძღვარიც იყო). – რა ვიცი, ზეზვა ასე ამბობს-მეთქი. – ოო, ზეზვა თუ ასე ამბობს, ასე იქნებაო, – დაჰყარა უცებ ფარ-ხმალი მან.

თუმცა, ამ პრობლემის ირგვლივ არსებული აზრთა ეს სხვადასხვაობა, შეიძლება იმითაც იყოს განპირობებული, რომ საბოლოოდ ჯერაც არ არის დადგენილი, ვირები უფრო ხშირად ყურებს ატოკებენ თუ კულებს. საქმეს კიდევ უფრო ართულებს ის, რომ გარე და შიდა კახეთის მონაცემები ამ მხრივ არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგალითად, ბოლო სტატისტიკით, გარე კახეთში ვირები ყურებს უფრო ატოკებენ, ვიდრე კულებს, ხოლო შიდა კახეთში პირიქით, კულებს უფრო ატოკებენ, ვიდრე ყურებს. ერთიანი მონაცემები კი, ამასთან დაკავშირებით, რასაც შეიძლება დაეყრდნოს საზოგადოება, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს და დაბეჯითებით რაიმეს თქმაც შეუძლებლად მიგვაჩნია.

ერთ ზამთარს ზეზვას შორიდან მოვკარი თვალი. კურდღლის ტყავისგან შეკერილი ქუდი, „უმანკას“ რომ ეძახიან, წამოეცო თავზე და, მართლა, ჯორის ყურებით მიატოკებდა მის ყურებს.

ნანახის გამო სადღაც წამომცდა – იმდენი იძახა ზეზვამ „ველოკამ ჯორი ყურვიითა“-ო, რომ მართლა დაუწვია ტოკვა ჯორის ყურვიითა-მეთქი.

დასმენა მაშინ იყო თუ იყო. ათასი ავეია დადიოდა ქვეყანაზე და ჩემს მიერ წამომცდარი სიტყვები ზეზვასთვის მისხალ-მისხალ ჩაეკაკლათ.

ზეზვას, რა თქმა უნდა, გულზე არ მოჰყენია ეს ამბავი, მაგრამ ვითომც არაფერიო, მშვიდად აუხსნია მავანისთვის, რომ იმ ხანებში მას კახეთის მატარებლით უმგზავრია, რომ ვაგონის ფანჯარა ჩამტვრეული ყოფილა, რომ გაციებულა, რომ გაციებას სამწვერა ნერვის ანთება მოჰყოლია, რომ ტკივილების გამო მარჯვენა წარბი უკრთებოდა, რასაც, ბუნებრივია, „უშანკას“ ყურების ტოკვაც მოჰყვებოდა.

### **P.S.**

ზეზვას **სამწვერობანა** საქართველოს ფარგლებსაც გასცდენია. ამას წინათ, როცა იგი თავის რუსულ კაფია-ექსპრომტებს იგონებდა, ასეთი რამეც გაიხსენა: რუსეთში ვიყავი მწერალთა შემოქმედებით სახლში. სამწვერა ნერვის ანთება მქონდა. ექიმმა მითხრა ჩინური ნემსებით გიმკურნალე. აბა, უარს ხომ არ ვეტყვოდი. რამდენიმე პროცედურის მერე ასეთი ექსპრომტი მივუძღვენი:

**Китайские люблю  
Иголки и стих;  
От стихов я воспрянул,  
От иголок стих.  
Ах иголки иголки,  
Хоть и бют под дых,  
Но любить я начинаю  
Постепенно их.  
Вылечусь я и конечно,  
Уж не буду псих.  
И буду вспоминить утех  
Тех дней молодых...**

ძვირფასო მკითხველო, დანამდვილებით ვერ გეტყვით, თუ როგორ მოხვდა ზეზვა მაშინ „პადმასკოვიე“-ში, მაგრამ დანამდვილებით გეტყვით, რომ იმ წლებში ზეზვა ინტენსიურად მუშაობდა „ქოროლის“ წინასიტყვაობაზე!..

შემდეგ, უცხო ენაზე შექმნილ ექსპრომტებს, ჩვენი ძვირფასი ქალბატონის, „კავკასიური სახლის“ დირექტორის – ნაირა გელაშვილისადმი მიძღვნაც მიაყოლა, იმ ნაირა გელაშვილისადმი, რომელმაც ზეზვას იმ გაჭირვების წლებში თავისთან სამსახური გამოუძებნა და ხელფასი დაუნიშნა:

**ნაირა ამბობს ბერლინში –  
„დას ისტ მანე ჰაიმატ“.  
ყოფა უტირა ნემენცებს,  
ინფარქტი დამართა იმათ.  
არ კი ეგონოთ ფრიცებსა,  
საქმე წაუვათ ყაიმათ;  
გამოუშვებენ – ვაი, ჩვენ,  
დაიტოვებენ – ვაი, მათ!**

გამოუშვებს და... მართლაც ვაი, ზეზვას! ბერლინიდან ნაირას ჩამოფრენამდე ჩამოფრინდა თბილისში ზეზვას სამუშაოდან დათხოვნის ბრძანება.

მას მერე ზეზვას რომ მოიკითხავდი, როგორა ხარო, გიპასუხებდა – აბა, როგორ ვიქნები, ქათმის სკინტლი აბაზიანი მგონია, ხოლო ჩიტის – ხუთთეთრიანი და ასაღებად ვეკუხები ეს უმუშევარი კაციო.



## არეულობის წილა

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდგომი არეულობის წლები იყო. ყაჩაღობასა და ქურდ-ბაცაცობას მოეცვა ქვეყანა, რომელსაც განსაკუთრებით რაიონებსა და სოფლებში ეპოვა ასპარეზი. სხვა და სხვა სახის ბანდფორმირებები უმოწყალოდ ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. დაკარგულიყო რიდი და პატივისცემა, დამდგარიყო განკითხვის უამი.

ზეზვას, მტერ-მოყვარე ქართველ კაცს, რამდენიმე ჭურჭელი ღვინო ჰქონოდა სოფელში სახარჯოდ გადანახული. არხეინად რომ ყოფილიყო, ერთ მშვენიერ დღეს თბილისში ჩამოიტანა იგი და საგულდაგულოდ ჩაკეტა ავტოფარეხში.

ზეზვას სხვა დროსაც შეენახა იქ ამ სახით ღვინო, მაგრამ არასოდეს ყოფილა შემთხვევა მისკენ ავი თვალთ გაეხედოს ვინმეს. არც ახლა ჰქონდა რაიმეს შიში, მაგრამ ეშმაკს ასი თვალი აქესო და უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, სოფლიდან ძაღლი ჩამოიყვანა და ზედ ბოქლომზე მიაბა.

როგორც კი აიღო ადამიანის მეგობარმა პასუხისმგებლობა სკუთარ თავზე, პატიოსნად შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას – დაიწყო ყეფა. მთელ უბანს სწვდებოდა მისი ბოხი ხმა, რომელიც ვის როგორ, მაგრამ ზეზვას ნამდვილად მალამოდ ედებოდა გულზე.

პირველივე ყეფით, რაც ძაღლმა უბნის შავი სამყაროს წარმომადგენლებს აცნობა, შემდეგი იყო – ბიჭებო, ხომ იცით, როგორ პატივს გცემთ. ავტოფარეხში ღვინოა გადამალული, როგორც კი დაღამდება, მოდით, გადმომიგდეთ ერთი ნაჭერი ძვლიანი ხორცი, მოაყოლეთ ზედ რაიმე დამამშვიდებელი საშუალება, ხოლო როცა მოვრჩები ვახშობას და მივნაბავ თვალებს, ე, მაშინ თქვენი იქნება ბურთი და მოედანი, ღვინო ნაღვია, კახური, თქვენ რომ გიყვართ ისეთი!..

ერთ მშვენიერ დამესაც, როცა ადამიანის ოთხფეხა მეგობარმა იმ უბნის შავი სამყაროს წარმომადგენლების

მიერ მირთმეული საჭმლით საკმაოდ ისიამოვნა და მინაბა თვალები... ამავე დროს, როცა მისი პატრონი გარეკახური ხვრინიდან გადავიდა შიდაკახურ ფშვინვაზე, ყველაფერი მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო.





## ზეზვაყარ-ბიჭიკაყარუბი

არ შეიძლება ზეზვა ახსენო და ერთი სიტყვა მაინც არ დაგცდეს ბიჭიკაშვილზე. უსახელო უფლისციხელივით, ბიჭიკაშვილს უსახელოდ იცნობდა ყველა. იგი მატარებლის გამცილებელი იყო, როგორც კი დროს მოიხელთებდა, მოვარდებოდა უნივერსიტეტის ბაღში და სანამ არ დაბერტყავდა თავის ლექსების მადლიან ხურჯინს, მანამ ფეხს არ მოიცვლიდა. გაუჩინარებაც ისეთივე მოულოდნელი იცოდა, როგორც გამოჩენა.

ბიჭიკაშვილი ცნობილი იყო თავისი ჰუმანური იდეებით. მიუხედავად იმისა, რომ მან არც კი იცოდა რას ნიშნავდა სიტყვა პაციფისტი, იგი მაინც ნამდვილი პაციფისტი იყო. თავის პაციფისტურ განცდებსა და ნააზრევს იგი წყობილი სიტყვით გადმოსცემდა. ჩემი თაობიდან ალბათ ბევრს ახსოვს ასეთი ბიჭიკაური:

**ამბობენ ხალხთა სიმრავლით,  
ომები უნდა ხდებოდეს.  
სჯობს, სულ არ იბადებოდეს,  
ვიდრე, რომ იჟლიტებოდეს.**

ცივი ომის წლებში, როცა საბჭოთა კავშირი და ამერიკა თხა და მგელივით უყურებდნენ ერთმანეთს, მათზე იყო დამოკიდებული მსოფლოს ბედი. ბიჭიკაშვილი დაპირისპირებულ მხარეებს სთავაზობდა, რომ თავიანთი იარაღით ამოევისოთ ის უფსკრული, რაც მათ შორის იყო და ზედ მშვიდობიანად ევლო ორივე მხარეს. ამით ხომ განიარაღების პრობლემაც საბოლოოდ გადაწყდებოდა და დედამიწაზე მშვიდობა დაივანებდა.

ნეტა, მაშინ ყურადღელ ვინმეს ბიჭიკაშვილის სამშვიდობო პროგრამა, რამდენი საშინელება ასცდებოდა კაცობრიობას...

როგორც წესი, უნივერსიტეტის ბაღში ბიჭიკაშვილის გამოჩენა და ზეზვას იქ გაჩენა ერთი იყო. არავინ იცის, ისეთი რა უხილავი ძაფები აკავშირებდათ მათ ერთმანეთ-

თან, რომ არ ყოფილა შემთხვევა, ოდესმე ეს წესი დარღვეულიყო.

ზეზვას ვთხოვე, იქნებ ბიჭიკაშვილზე რამე გქონდეს-მეთქი, – რას ამბობ, როგორ არა, პოემა მაქვს მასზე დაწერილიო.

მეც გამახსენდა, რომ ზეზვას ბიჭიკაშვილზე პოემა ჰქონდა დაწერილი, რომელსაც არც დასაწყისი ჰქონდა და არც დასასრული.

საქმიანი შეხვედრაც შედგა და ზეზვამ, დროებითი სარგებლობისთვის, აღნიშნული პოემა გადმომცა, რომელიც მთავრდება ასე:

**შენით აყვავდნენ ქართლის ბაღები,  
კმაო, შესძელი ღმერთის ოდენი  
და ამიტომაც მშობელმა ხალხმა  
მკერდზე დაგკიდა კვახის ორდენი.**



## ერთი ლაქა მზესაც იო აქვსო

„საქკონსერვხილბოსტანი“ საბჭოთა პერიოდის ერთადერთი ის საწარმო იყო, რომელსაც შეეძლო აღმოეჩინა მზეზე ლაქები – დაუწუნეს ზეზვას ქართული, ხოლო თუ როგორ და რატომ ახლავე მოგახსენებთ:

ზეზვას ერთი ბიძა ჰყავდა, რომელიც, ყურადღებას არ აკლებდა მამით ობოლ თავის ძმისშვილს. როგორც ზეზვამ მითხრა, ერთხელაც ყოფილა და, ბიძას იგი „საქკონსერვხილბოსტანში“ გაუფორმებია **მბეჭდავი გოგონების კოლეგიის მდივნად**, სადაც თვითონ სამეურნეო ნაწილის გამგე ყოფილა. ვერ გეტყვით ასეთი შტატი იმ საწარმოში მანამდეც არსებობდა თუ იგი ობოლ ძმისშვილზე მზრუნველი ბიძის ფანტაზიის ნაყოფი იყო.

მართალი გითხრათ, მთლად ბოლომდე ვერ ჩავწვდი სსენებულ თანამდებობას და ვთხოვე ზეზვას, ამასთან დაკავშირებით, ჩემთვის უფრო ნათლად განემარტა.

ალბათ, გვახსოვს, როგორ ვერ გაიგო თავისი უფლებამოსილებანი ზეზვამ უნვერსიტეტში ლაბორანტად მუშაობის საკმაო ხნის მანძილზე, მაგრამ, „საქკონსერვხილბოსტანში“ მისვლის პირველივე წუთებიდანვე, მისთვის ყველაფერი მზესავით ნათელი გამხდარა – ზეზვას ენობრივად უნდა გაემართა ის ოქმები, რომლებიც სხვადასხვა უჯრედებიდან მის ალალ ბიძასთან იყრიდა თავს.

– ჩემი მოვალეობა იყო ოქმების ენობრივად შემოწმება და გამართვა. დაუწუნე კანცელარული-ლიტერატურული სტილი მბეჭდავი გოგონების კოლეგიის წევრებს – „კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები“ კი არა, უნდა ეწეროს – „კომიტეტის ქვემდებარე ორგანიზაციები“-მეთქი. იმათ კიდევ მითხრეს – აქ ჩვენ გრამატიკის გაკვეთილები კი არა გვაქვს, ქვემდებარე და შემასმენელი ვეძიოთო.

მოკლედ, დაუწუნეს ზეზვას ქართული.

ამაზეა ნათქვამი – ერთი ლაქა მზესაც კი აქვსო.

– ხელფასი 100 მანეთი მქონდა, ასპირანტის სტიპენდია კიდევ – 80. ბიძამ მითხრა კვირაში ერთ დღეს ივ-

ლიო. იქ კიდევ ყოველდღე მომთხოვეს სიარული. ყოველ-  
დღე რაზე მევლო, საქმე არაფერი მქონდა, შევლონდი და  
იქიდან წამოვედიო. გოგონებმა გაცილებსა მომიწყვეს, მეც,  
ორი ჭიქა რომ დაველიე, ასე შევჭიჭიკდი:

**წაველ, მივდივარ, დავტოვე  
ადგილი სარჩოს მომტანი.  
თქვენ შეგრჩეთ თქვენი კონსერვი,  
თქვენი ჩხირ-კედელ ბოსტანი.  
თავში კომბოსტო ჩამიდეთ,  
თქვენგან ვიყავი მომსპარი.  
ვერც ჩემი გეგმა დავხურე,  
და ველარც თქვენი „გოსპლანი“.  
თქვენი ქინძი და პეტრუშკა,  
თქვენი ომბალოც ასეო.**

დაუმატა: განა ბევრი – სულ ოთხი თვე ვიმუშავეო.



## ჭიდაობა, ალპინიზმი, რყვა

ქალაქში ჩამოსული კახეთის ტყე-მინდვრებში მწვემსებთან გაზრდილი ახალგაზრდა ზეზვა, უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე, ჭიდაობის სექციაში ჩაეწერა. მადლიერების გრძნობით იხსენებს იგი ჭიდაობის მასწავლებლებს, ცნობილ ფალანგებს: სიმონა მაისურაძეს, ზურაბ დენტოშვილს, კალე შეყრილაძეს და გოდერძი ჩიტიაშვილს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სპორტის ამ სახეობაში მისი ჩამოყალიბების საქმეში. – ტექნიკა დიდი მქონდა, მაგრამ ღონით არ გამოვირჩეოდიო. ალგო ჟორდანიამ ძიუდოს შესახებ გერმანული წიგნიც კი მომიტანა, სომხურადაც მქონდა ამ სპორტზე წიგნები, მაგრამ ვიზარმაცე, დიდი მიღწევები არ მქონიაო, – თქვა საკუთარ თავზე განაწყენებით ზეზვამ. – გაზეთში ფოტოებიც კი იყო ჩემი ქართულ ჭიდაობაში, სამბოს თანრიგების წიგნაკებიცა მაქვსო, – დაუმატა მერე და ჭიდაობიდან ალპინიზმზე გადავიდა:

მაშინ ალპინიზმიც მიტაცებდა. ყუროს მწვერვალი ორჯერა მაქვს დაპრობილი, 4200 მეტრი სიმაღლისაა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები თეიმურაზ კუხიანიძე და ჯუმბერ მეძმარიაშვილი ჩვენი ინსტრუქტორები იყვნენ. იქ „კლდის გაზეთი“ გამოდიოდა, სულ ჩემი ლექსებით იყო სავსე. ხომ არ გახსოვს რომელიმე-მეთქი. დაფიქრდა და ერთი გაიხსენა:

**ამბობენ ვითომ რომ პატარა ხარ,  
ძალა არ მოგდევს, მუხლი არ გიძლებს,  
აბა, პამირი ვინ გადალახა,  
თუ არა თემო კუხიანიძემ.**

ვკითხე – ალპინიზმს თავი რატომ დაანებე-მეთქი. ჩასაცმელი არ მქონდაო. – დღიურებს სულ ლექსებად ვწერდიო, – დაუმატა.

გავონილი მქონდა, ზეზვა რეგბითაც იყო გატაცებული და ვახსენე სპორტის ეს სახეობა. – როგორ არა,

რეგების პირველ გუნდში ვთამაშობდი, გივი მრელაშვილი იყო, იმან ჩამოიტანა რეგები მოსკოვიდანო. შემდეგ მოჰყვა თუ როგორ დაანება თავი ამ სპორტს: ერთხელ „გეპეის“ (ახლანდელი პოლიტექნიკური უნივერსიტეტი) გუნდს ვეთამაშებოდით. ჩვენკენ ბურთით ერთი უშველებელი ბიჭი გამოექანა, გიორგობიანი იყო. მე ჭიდაობის ფანდებით წავაქცევედი ხოლმე მოწინააღმდეგეს, მაგრამ რომ მიეხვედი ამ ხერხით მასთან ვერას გავაწყობდი, გამოვეკიდე და ზურგზე შემოვახტი. იმან კიდევ ვითომც არაფერიო, განაგრძო სირბილი, ჩემიანად ირბინა, ჩვენი ხაზი გადმოლახა, ბურთი დაამიწა და ამომძახა – რა გინდა, კიდევ არ შემეშვებო?

ის იყო და ის, მას და რეგების ერთდროულად შევეშვო. თან უსტიპენდიოდ ვიყავი, ხომ იციო რატომ. – როგორ არ ვიცი, შენი სტიპენდია როგორ გადაიყოლა შენმა პროფორგანიზაციის თავმჯდომარეობამ, მაგას რა დამავიწყებს-მეთქი.

ჭიდაობა, ალპინიზმი და რეგები აი, ის სპორტული სამება, რომელიც ხელს უწყობდა ზეზვას ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში.



## რე იყო დაუჯერებელი ამბები

ერთ ზაფხულს გაოცებული ჩამოვიდა ზეზვა და-  
დესტნიდან, სადაც მივლინებით დაეყო ერთი თვე; – თურ-  
მე, კაცო, თათური მცოდნია და არ ვიცოდით!..

– თათრული?

– არა კაცო, თათური. თათრული ხომ ვიცი და ვიცი.

– როგორ თუ გცოდნია და არ იცოდი?

– ოჰ, რა, სადღაც დადესტნის მთებში ერთი ხალხი  
ცხოვრობს თათები ვართო, ყველაფერს ვაგებინებდით ერ-  
თმანეთს.

– ალბათ, ნასწავლი გქონდა ეს ენა.

– ღმერთი, რჯული, იქ გავიგე იმ ხალხისა და იმ  
ენის არსებობის შესახებ.

– იქნებ ნასვამმა ისწავლე სადმე და არ გახსოვს!..

– აკი გითხარი, საერთოდ არ ვიცოდი იმ ენის და იმ  
ხალხის არსებობა-მეთქი.

– მაინც ვინა ვართო, ვისი ტომისა?

– ირანელი ებრაელები ვართო.

– კარგად უგებდით ერთმანეთს?

– პირველ წუთებში გაგვიჭირდა, მაგრამ მერე წყა-  
ლივით წავიდა. სადღაც ზემომაზანდარანულთან უნდა  
იყოს ახლოს. მე ხომ ერთი ირანელი მოჭიდავისგან ვიცი  
ზემომაზანდარანული, აქ რომ იყო ჩამოსული, სამი დღე  
სულ მე დაყვებოდი ქალაქში. მაგას კიდევ ბებიასგან  
უსწავლია ეს ენა, ზემომაზანდარანელი პყოლია ბებია.

თათური რომ არ იცოდეს, განა რომელი ენა არ  
იცის, რაღა ამბში ჩავაცივდი-მეთქი, ღამის საკუთარ  
თავს გავუბრაზდი და ის იყო, დავშორდით ერთმანეთს,  
რომ მომაგონდა ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან:

ერთხელ, ალგოქოქორდანიამ, ჩვენმა კოლეგამ და მე-  
გობარმა, უნივერსიტეტში მუშაობისას, ეტყობა, თავისი  
დიდი წინაპრის თედო ქორდანიას არქივიდან, რაღაც გა-  
ზეთის გაყვითლებული ფურცელი მოიტანა და ზეზვას  
სთხოვა ეთარგმნა იქიდან რაღაც. – ახლავეო, მიუგო

ზეზვამ და დაიწყო ტექსტის პირდაპირ ქართულად კარნახი ისე, რომ ძლივს ასწრებდა ალიკო ჩაწერას.

მორჩა ზეზვა თარგმნას, გაიხარა ალიკომ, გადაუხადა დიდი მადლობა მთარგმნელს და ბოლოს ჰკითხა რომელი ენიდან თარგმნეო.

– რომელი ენიდანო? – შეცბა ზეზვა.

– ჰო, რომელი ენიდან, რომ მივუწერო თარგმანს.

– აბა, როგორ გითხრა რომელი ენიდან ვთარგმნე. ეგ რომ უზბეკური იყოს, აქ **ოლარ** კი არა **იულარ** სუფიქსი იქნებოდა.

თათრული კიდევ ეგ არ არის, აბა, ვის უნახავს თათრულში კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი მუღერი ვ თანხმონის წინ ვიბრანტი **რ** თანხმოვანი!

ძველი თურქმენული რომ არ არის, თუ გინდა სანაძლეოს დავდებ!.. არც ჩაღატაურია. ჩაღატაურში **დიურ** თანდებული აბა როდის აწარმოებდა მიცემით ბრუნვას!..

– ყირგიზული ხომ არ არის? – წამოეშველა ალიკო.

– არა გენაცვალე, ყირგიზულს აქ რა უნდა, როდის იყო ყირგიზულში ზმნიზედის ფუნქციას არსებითი სახელი ასრულებდა. განა ყირგიზულს ზმნიზედა არ ყოფნის.

– ჩუვაშურითან ხომ არა აქვს რაიმე საერთო? – სცადა კიდევ ერთხელ ალიკომ.

– აბა, როგორ გეკადრება, სად **ანდუმ ელაიანდუმ** და სად ჩუვაშური...

– ყარაკალპაკუ... – დავიწყე და ელდანაკრავივით შემაწყვეტინა ზეზვამ – აა, პა, პა!.. აბა, როდის იყო, ყარაკალპაკურში ნამყოწინარე წარსულის მხოლოდობით რიცხვის მესამე პირს **ინ** სუფიქსი აწარმოებდა.

კი ვინანე, ეს რა წამოვაყრანტალე-მეთქი, მაგრამ გასროლილ ისარი უკან ვის დაუბრუნებია.

– ზეზვა, დაახლოებით რომელი ენა შეიძლება იყოს? – ამაზეც წავიდა ალიკო, – აბა, ეგრე როგორ იქნება, მარჩიელობას ხომ არ დავიწყებ? – მოუჭრა ზეზვამ.

როგორც შემდეგ ალიკომ შემთხვევით მიაქცია ყურადღება და აღმოაჩინა, რომ ის გახეთი შუა აზიის რომელიღაც რესპუბლიკის ორენოვანი (რუსულ – რომელი-



დაც) გაზეთი ყოფილა და ზეზვას თარგმანი სიტყვასიტყვით დაემთხვა იმ წერილის რუსულ თარგმანს.

ამის მერე რა იყო დაუჯერებელი იმაში, რომ ზეზვამ არ იცოდა ის, თუ საიდან იცოდა თათური.

**P.S.**

ზეზვას, იმ მოჭიდავეებთან, სამი დღე რომ დაჰყვებოდა თბილისში და ზემომაზანდარანული ესწავლა, მუშაირა გაუმართავს და ბეჭზე დაუდვია ყველანი. – მაშინ ახალგაზრდა ვიყავ, გოგრა მუშაობდაო!



## ლედი სადღეგრძელოში

ქართველი კაცი ლუდზე სადღეგრძელოს არ იტყვის და თუ მოხდა ასე, იტყვის უკუღმა. ზეზვაც ლედის სადღეგრძელოს გარეშე, ლუდზე არ მინაბავს თვალებს. ზაფხულის სიცხიან დღეს, როცა ამ საამო სითხით მოგვინდება ყელის ჩაგრილება, პირველ რიგში, ზეზვას დაეუწყებოთ ძებნას. ყოფილა შემთხვევა, ასეთ დროს ზეზვა რომ ვერ გვიპოვია და ლუდის ხალისიც დაგვიკარგავს. რამდენჯერ, ზეზვას სამსახურის კარებთან, რიგშიც კი ჩავმდგარვართ ბიჭები მის ხელში ჩასაგდებად.

ვიცი, ზაფხულის სიცხეში, ყველას არ მოგეცემათ ზეზვას მოხელთების ბედნიერება და გთავაზობთ ზეზვას ლედის სადღეგრძელოთა ერთ ნაწილს:



– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, კაცობა რომ უნდა და კაცობისთვის ვერ იცლისო.



– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, 31 დეკემბერს ინდაურს რომ ფეხი მოუტყდება და თაბაშირში ჩაუსვამს, იქნებ შეუხორცდესო.



– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ღორს რომ „დრუპით“ (ელექტო ხერხის სახელია) დაკლავს, მეზობელმა ღორის ჭყვილი არ გაიგოს და მწვადზე არ გადმოვიდესო.



– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ცოლს რომ მინი კაბას ჩააცმევს და მოკლეტარიან ცოცხს მისცემს, ტანი რომ გამოუჩნდესო.



– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, სიღედრს რომ იტალიაში გაამგზავრებს და თვითმფრინავი რომ ცაში აფრინდება, თვალცრემლიანი იტყვის – ჩემ სიღედრს ნეტა არაფერი მოუვიდესო.



– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, შინ და გარეთ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში რომ დადისო.



– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ზურგზე რომ ლომი ახატია და თაგვისა ეშინიაო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზეზვა, ლუღზე მხოლოდ საკუთარ სადღეგრძელოებს ამბობს, რომლებიც ან ადრე წარმოუთქვამს, ან, იქვე, თავმოქაფული კათხის ტუჩებთან მიტანამდე მოფრენილა.

მცირე სტატისტიკა: დღემდე, მის მიერ წარმოთქმულმა ლუღის სადღეგრძელოთა რაოდენობამ 657 გადააჭარბა, აქედან – 15 წარმოთქმულია აზერბაიჯანულად, 12 – სომხურად, 22 – სპარსულად, 18 – რუსულად, 7 – ესტონურად, 24 – სხვადასხვა კავკასიურ ენებზე, 3 – არაბული ენის შუა აზიურ დიალექტზე, 2 – ფალაურად, 38 – სხვადასხვა ევროპულ ენებზე, 2 – აქადურად, 1 – ჩინურად და დანარჩენი ქართულად.



## **პატარა-პატარა**

### **ემპირიოკრიტიციზმი**

ერთხელ, სუფრაზე ერთმა მეგობარმა კაფიაობაში ზეზვას გამოჭერა მოინდომა – აბა, თუ მაგარი ხარ, გამირითმე **ემპირიოკრიტიციზმი**-ო და სათქმელი არც ჰქონდა წესიერად დამთავრებული, რომ ზეზვამ აჯახა:

**მე ვხედავ, რომ შენი სახით  
იმპერია კრეტინს გვიზრდის;  
ვერაფერი გაგიგია  
ემპირიოკრიტიციზმის.**

### **საწყალი იყო**

ზეზვას მეტყველების სტილი და მანერა ხატოვანი და იუმორით შეფერილი აქვს. ერთხელ ვიღაცაზე გულისტკივილით თქვა: საწყალი კაცი, ამას წინათ ვნახე, როგორ შემეცოდა, რამსიდიდე იყო, რომ ჩამოგეხერხა (იმ ფიცრებით) ერთი უბორნია დაიდგმებოდა, ახლა კიდევ სიცხის საზომის ერთი დაქნევაღააო.

### **ფიქქშიდან იქნა უნდა ვაყენებდით**

– როგორა ხარ ზეზვა-მეთქი,  
– აბა, როგორ ვიქნები, ვბერდები, ისე ვარ, ფეჩქე-შიდან კატას უნდა ვაყენებდე და მის მაგივრად ვწვებოდეო.

## იხვეპის გადაფრენა

მაშინ ასეთი წესი იყო, უფროსი თაობის შემოქმედი და ხელოვანი თავის უმცროს კოლეგას ხელს უწვდიდა. ეს წესი ასე უღვთოდ არ დაიკარგებოდა, ახლა რომ უფროსთაობელები თვითონ არ იყვნენ ხელგაწვდილები.

ერთხელ ხუტა ბერულავას დაუბარებია ზეზვა და უთქვამს: ზეზვა, სახლმმართველობიდან ესა და ეს ცნობა მომიტანე, ბინის ვარიანტებიან.

– რომ არაფერი გამოვიდესო! – დახვედრია ქვასავით ზეზვა.

ბატონ ხუტას მიუგია: ბებია მეტყოდა, თავზე იხვეები რომ გადაგიფრენენ, ქვა ესროლე, თუ ჩამოვარდა, ხომ კარგი, არა და ქვა ქვას მიემატება და იხვი იხვსაო. გამოვა – გამოვა, არ გამოვა – არ გამოვა, წადი ახლა და როგორც გითხარი, ისე მოიქეციო.

ზეზვა ბურდღუნ-ბურტყუნით გასულა ბატონი ხუტას კაბინეტიდან.

არ გასულა დიდი ხანი და, ერთ მშვენიერ დღეს, ზეზვას თავზე იხვეებიც გადაფრენილან, ზეზვას აუღია ქვა, უსვრია და ერთი იხვიც ჩამოვარდნილა ანუ, ბინა მიუღია.

## შვილი ენა დამცვივდაო

ვიღაცამ ზეზვას გააკვირვებით ჰკითხა – ამდენი ენა როგორ ისწავლეო!

ზეზვამ მიუგო – მეტიც ვიცოდი, მაგრამ ერთხელ სარდაფში ჩავედი, სიბნელეში რაღაცას თავი მივარტყი და შვიდი ენა მარტო მაშინ დამცვივდაო.

## ჰერს ჰკონია...

ბევრს ჰკონია, რომ ზეზვას ზოგიერთი უცხო ენა ბავშვობაში აქვს ნასწავლი, შინაურულ გარემოში. ამასთან დაკავშირებით, მეც რომ გამიჩნდა რაღაც ეჭვის მაგვარი რამ და ვკითხე კიდევ ზეზვას, მან ასე მომიჭრა: – აბა, რას ამბობ, სომეხს ტრამვაიში უკან დავდევი – ჩადიხარ? – ვეტყოდი სომხურად, ჩემივე ხმა რომ გამეგონა უცხო ენაზე!..

ბუნებრივია, სომხურში პრაქტიკას ზეზვა არაშენდაში, ასე ვთქვათ, ვერ გაივლიდა, რადგან იქ ტრამვაი არ დადიოდა, ხოლო თბილისში, სადაც ტრანსპორტის ეს საშუალება დადიოდა, ზეზვა სწავლის გასაგრძელებლად რომ ჩამოვიდა, ბავშვობის ასაკიდან საკმაო ხნის გამოსული იყო.

## უსათაურრო

ერთმა დირექტორმა სამსახურში ერთ ქალი მიიღო, არ გასულა დიდი ხანი და იგი დააწინაურა. ყველამ გაიკვირვა მისი ასე სწრაფი წინსვლა. ეს ამბავი ზეზვამ რომ გაიგო, ასე ჩაილაპარაკა: ამ დირექტორმა ის ქალი დააწინაურაო.

## ჭინჭრის ფხალი

ზეზვა მედულაშვილი, თურქოლოგი გულიკო (აიგული) ცალქალამანიძე და ირანისტი ჯემალ ცერცვაძე საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მთარგმნელობითი კოლეგიიდან, რომლის დამაარსებელი და თავკაცი იყო შესანიშნავი პიროვნება ოთარ ნოღია, შუა აზიის რესპუბლიკებში მიაგლინეს, სათარგმნი მასალის შესარჩევად და ჩამოსატანად. დავალება განაწილებული ჰქონდათ – გულიკოსა და ჯემალს უნდა მოეძიათ და შე-

ერჩიათ მასალები, ზეზვას – დაეკარგა. სამივემ შესანიშნავად შეასრულა დაკისრებული დავალება.

გულიკო ჰყვება: ყველგან დიდი პატივით გვხვდებოდნენ, მაგრამ ტაჯიკეთის მწერალთა კავშირში მიღებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მასპინძლობა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ცნობილმა ტაჯიკმა მხატვრული სიტყვის ოსტატმა მუმინ ყანაათოვმა გაგვიწია. მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეთა და სხვა სახელოვან წარმომადგენლებთან ერთად, წაგვიყვანეს ქალაქბარეთ, ბუნების წიაღში, შეიძლება ითქვას, სამოთხეში. გაიშალა სუფრა, მაგრამ რა გაიშალა, რა უნდა ინატრო, რომ სუფრაზე არ იყოს. როცა სუფრაზე, ასე ვთქვათ, ჩიტის რძე ჩამოარიგეს, ზეზვამ ჩამილაპარაკა – არაფერი მინდა, ჩემო გულიკო, ერთი დედაჩემის დაკრეფილი და გაკეთებული ჭინჭრის ფხალი მაჭამაო.

გულიკოს მიერ ჩაწერილი ზეზვას კაფია-ექსპრომტებიდან:

\* \* \*

თბილისზე კარგი სამყარო  
ზეზვამ სადღა ინატროს,  
ასი პროცენტით გიჟია,  
აშხაბადს მიდის ვინც ამ დროს.

\* \* \*

ჩვენ ვამაყობთ აიგულით,  
სამეულის თაიგულით,  
ჩვენ დედოფლად მივაბრძანებთ,  
ასეც მოგვდევს კაი გულით.  
ხვალ აშხაბადს მიადგება,  
გვერდზე ორი მაიმუნით.

## მოპარული ეგონებათო

ვილაცამ ნუკრია და ზურია რომ ნახა, გაკვირვებით უთხრა ზეზვას – ბიჭები როგორა გგვანანო!

ზეზვამ მიუგო – საქონელი თუ პატრონს არა ჰგავს, მოპარული ეგონებათო.

## მაშინ ჩვენ გვაპატრონა

მზეო მომიყვა გოგოჭური, ვახუშტი კოტეტიშვილის მეუღლე: ერთხელ ვახუშტი მე და ზეზვა კავკასიურ სახლში ნამცხვარს შევქცევოდით. ამ დროს დერეფანში ნაირა გელაშვილმა გაიარა, კავკასიური სახლის ბატონ-პატრონმა. ვახუშტიმ დაუძახა – ნაირა, შემოდი, ნამცხვარზე დაგვეწვიეო. ნაირამ, ეტყობა რაღაცაზე გუნებაწამხდარმა, ცივად მოგვიგო – დიეტაზე ვარ, ჩემთვის არ შეიძლებაო. მაშინ ზეზვამ თავისთვის ჩაიბურტყუნა:

**Хорошо помни ты это,  
что не поможет диета.**

ნაირამ ნირი არ შეიცვალა და განაგრძო გზა. არც ზეზვამ შეიცვალა ნირი და განაგრძო ნამცხვრის შექცევა. მერე თავისთვის ისევ ჩაიბურტყუნა: კარგი ბატონო,

**თუ კი პამოუეტ დიეტა,  
მაშინ ჩვენ გვაპატრონა.**

P.S.

იმ დღეს ზეზვას ნაირას მაგიდაზე რაღაც წიგნი უნახავს, აუღია იგი, შეუთვალაიერებია და ჩაულაპარაკია – ყარაჩაულ-ჩერქეზულიც მცოდნიაო. წიგნს თურმე ეწერა – ყარაჩაულ-ჩერქეზული ზღაპრები.



# ზეზვალ მოსაყოლოებიდან

## კრეჭო

ჩვენ სოფელში ერთი ძალღონით სახსე კაცია, კრეჭო ჰქვია.

სოფელს წყალი არ ჰქონდა. გატანჯული იყო ხალხი. რამდენჯერაც არ შეჰპირდა ხალხს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, წყლის გამოყვანას მაინც არ დაადგა საშვები. ხან ტრაქტორი იყო გაფუჭებული, ხან, ტრაქტორისტი იყო ავად, ხან სალიარი არ ჰქონდათ, ხან ბენზინი... ასე რომ არ ილეოდა მიზეზი და სოფელი კი უწყლოდ იყო დარჩენილი.

ერთ მშვენიერ დღეს გაბრაზდა შენი კრეჭო, აიღო წერაქვი და ნიჩაბი, შეუყვა ხეობას და რამდენიმე დღის მერე წყალთან ერთად შემოვიდა სოფელში. სულ მიუნგრევე-მოუნგრევეა და მიულეწ-მოულეწია კლდე-ღრე და საიდანღაც წყალი გამოუყვანია.

ეს ამბავი ელვისებურად მოედო უწყლობით დატანჯულ ახლომახლო მდებარე სოფლებს და ნიაღვარივით იწყო დინება დელეგაციებმა კრეჭოს სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის კანტორისკენ.

– რაშიაო, საქმე, რამ შეგაწუხათო, – მიმართა აივნიდან სოფლის თავკაცმა უცხო ხალხს.

– ასე და ასეა საქმე, წყალი გვაქვს გამოსაყვანი ხეობიდან, იქნებ თქვენი კრეჭო გვათხოვოთო.

– კრეჭოს თქვენთვის სადა სცალია, აქ ვერ აუღის საქმეებსო.

– ისე ხომ არ გვინდა, ფულს გადავიხდით, ჩვენს ტრაქტორისტს დავსვამთ, ჩვენს სალიარს ჩავასხამთ, საქმე იმაშია, საიდანაც წყალი უნდა გამოვიყვანოთ, იქ ჩვენი ტრაქტორები ვერ შედიანო...

თურმე მიუვალი ხეობიდან წყლის გამოყვანით, ისე გაუვარდა სახელი კრეჭოს, რომ იგი ყველას ახალი ტიპის ტრაქტორი – „კრეჭო“ ეგონა, როგორც, მაგალითად,

„ჩტზე“ (ЧТЗ – Читинский тракторный завод), ხტზე (ХТЗ – Харьковский тракторный завод)...

სხვათა შორის, კრეჭოს საკონცენტრაციო ბანაკი ჰქონია გამოვლილი.



## როცა ამ ჩანაწერებზე ვმუშაობდი

როცა ამ ჩანაწერებზე ვმუშაობდი, ზეზვასთან გადავწყვიტე ზოგი რამის დაზუსტება. შევეხმიანე ტელეფონით ჩემს ძველისძველ უღალატო მეგობარს. კითხვა-მოკითხვით გულის მოჯერების მერე საქმეზე გადავედი. აგუხსენი, რომ მინდოდა წარსულის ფურცლებიდან აქა-იქ რაღაც-რაღაცები გადამეტანა ქაღალდზე. ვთხოვე, იქნებ შენი ექსპრომტ-კაფიებიდან რამე მომაწოდო-მეთქი, რაზედაც თავი შეიკავა – აბა, მე რა ვიცი სად რა მითქვამსო. მერე თითქოს მოიბოდიშაო და სხვა კუთხით სცადა თავის დაძვრენა – კი მაქვს ჩაწერილი რაღაც-რაღაცები, მაგრამ ახლა ეგ როგორ გამოვა, ჩემ თავზე ხომ ვერ დავწერო.

ასე იყო თუ ისე, შევთანხვდით, რომ მეორე დღეს მასთან მივიდოდი. – ხომ იცი ჩემი სამსახური სადაც არის, კოლეგიაში ვარ, ძველ ადგილას. – კი, როგორ არ ვიცი-მეთქი და დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

საბედნიეროდ, ზეზვა იმ რამდენიმე თანამშრომელს შორის აღმოჩნდა, საბჭოთა კავშირთან ერთად, სამასკაციანი მთარგმნელობითი კოლეგიის დაშლის შემდეგ, სასწაულებრივად რომ დარჩა სამსახურში.

მაგრამ ეს რა დაებედა ზეზვას დაკარგვის სახით... უნივერსიტეტში იყო და ოთახი დაკარგა, კოლეგიაში კი, ოთახს ვინ ჩივის, „თავისუფლების მოედნის“ რეკონსტრუქციამ საერთოდ გამოაცალა ქვეშიდან ხალიჩა – დაკარგა შენობის ის ნაწილი, სადაც მისი სამუშაო ოთახი იყო განთავსებული. მაღლობა ღმერთს დანგრევეთმა სამუშაოებმა თან არ გაიყოლია ადამიანი...

და აი, მივაღეკი შენობის იმ ნაწილს, სადაც გადაეტანათ ზეზვას კაბინეტი. ათასნაირად გადაკეთებულ-გადმოკეთებულ ოთახების ლაბირინთებში კითხვა-კითხვით ძლივს მივაგენი ზეზვას, რომელიც ჩემთვის უცნობ პირთან ერთად, თამბაქოს კვამლში გახვეული, ჭადრაკს ჩასჯდომოდა.

– აი, ახლავე, ამ ხელს მოვრჩებით და ვილაპარაკოთ, მანამ კი ამ აზერბაიჯანულ ბაიათებს გადაავლე თვალი, რედაქციაში მიმაქვსო – მითხრა მისალმების შემდეგ ზეზვამ და თითქოს ჩემს მოსვლას უცდიდაო, მოულოდნელი როქით თავზარი დასცა ჭადრაკის დაფას ჩაფრენილ მოწინააღმდეგეს.

მეც, ჭადრაკის ფიგურების რაკარუკში, სიამოვნებით ჩავარაკრაკე აზერბაიჯანული ბაიათები, რომლებიც ზეზვას თავისი ბაღის ბელურებად ექცია. აი, ისინიც:

\* \* \*

ამასაც, ეს კლდე რო არი,  
უამი ჩამოშლის მყოვარი.  
მეშინის, უცხო თემს მოგეკდე,  
სატრფო დამირჩეს მგლოვარი.

\* \* \*

დამწვა ლამაზმა ქალმანა,  
იმისი ეშხის აღმანა,  
ცეცხლის აღს თავს არ მიუშვერს  
ჩემებრ არცერთი ფარვანა.

\* \* \*

ჩემ სიმწარეს, ჩემს სიმწირეს  
საზის კენესა იზეპირებს.  
შენ რო მოჰკვდი, მე გიტირე,  
მე რო მოგეკდე, ვინ მიტირებს?!

ამასობაში ქე გაისმა – „შახ“-იო, რაც იმის მაუწყებელი აღმოჩნდა რომ ზეზვას შვიდით ექვსი მოევო და ისიც მომიბრუნდა გამარჯვებული კაცის იერით – კაცო,

შენ რომ მითხარ ექსპრომტები და კაფიები მინდაო, ვგენი ლევან ბრეგაძესა აქვს გამოქვეყნებული. აი, მოვძებნი მაგასა და მოვცემო.

გამახსენდა, მუდამ ისედაც გარჯილი ლევანი, ოდეს-დაც ზეზვაურების მოგროვებითაც რომ ირჯებოდა, დიასხ, მოგროვებით და არა ძებნით, რადგან ამასოფლად მარგალიტებად მიმობნეულ **ზეზვაურებს** მხოლოდ მოგროვება, ნიზბით ტომარაში ჩაყრა და საბარგო მანქანით სტამბის ეზოში დაყრა თუ სჭირდებოდა მხოლოდ. რაკი თავი ქუდში ვიგუღვე, მშვიდად მივმართე იქ მყოფთ – დაბლა სახინკლეში ხომ არ ჩავსულიყავით, საუბარი იქ ხომ არ განგვეგრძო-მეთქი.

ჩემ წინადადებას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც მახსოვს, თავიც არავის შეუკავებია. ჩავედით დაბლა. წინასაშობაო დღეები იყო და კოლეგიის თანამშრომელმა, ჩვენმა მეგობარმა ენვერ მესხიამ, არ ვიცი ვის რა შეგვატყო სახეზე, იკითხა, – რომელიმე ხომ არ ვმარხულობთ, რა შევუკვეთოთო. სანამ მე და ახლადგაცნობილი მეგობარი უარის სათქმელად პირს გავაღებდით, ზეზვას პასუხიც გაისმა:

**ჩვენი მთავრობის შემყურეს  
ნეტა რად გვინდა მარხვაი.  
ისეც სულ მშვივრებსა გვხოცავს,  
ეს პირქვე დასამარხავი.  
მოდით, ვიგემოთ ხინკალი,  
არ გვინდა თვალის ხამხამი.**

ხინკალი შევუკვეთეთ, რატომდაც ჩუფნიკაზე (თენგიზ მირზაშვილზე) ჩამოვარდა სიტყვა და ზეზვამ ეს მოაყოლა: ჩუფნიკამ საფრანგეთში ნახატების გამოფენა მოაწყო და ექსპრომტად ვუთხარიო:

**ჩემ ჩუფნიკას ვენაცვალე,  
რამ აიღო ომით ნანტი.  
სამ თვეს მისი ნახატები**

იყო ნანტის დომინანტი.  
გენაცვალე, ჩემო ჩუფჩიკ,  
ემანდ ბუწკნარიან შუბლში.  
საქართველოს სიყვარულით  
გადაპიპინებულ გულში.  
ფრანგებს ხატვა შენ ასწავლე,  
რომ არ იყვნენ ბაიბურში.

ბაზარში ყვარლელი კაცისგან ნაყიდი არყით მივედი  
ზეზვასთან, იქნებ რაიმეში გამოგვადგეს-მეთქი. გამოგვად-  
გა კიდევც ის დალოცვილი. გადაჰკრა ზეზვამ და ხინკლის  
მაგივრად ეს ექსპრომტი დააყოლა:

**მე იმ ყვარლელ კაცს ვენაცვლე,  
რომ გამარაგებს არყითა.  
ან თვითონ როგორ იქნება,  
თუ ეს არაყი არ ყოდა.**

დავშორდით ერთმანეთს იმ პირობით, რომ ზეზვა  
შეეცდებოდა გამოექექა ჩემთვის ლევანის მოგროვილი  
**ზეზვაურები**, რისი იმედი დიდად არც მქონდა, მაგრამ  
მოხდა ისე, რომ ზეზვამ, არამც თუ გამოქექა, დროებითი  
სარგებლობის მიზნით, გადმომცა კიდევც იგი.

გამოსვლისას, ღმერთო შეგცოდე და, ავად მენიშნა  
შენობის დარჩენილი ნაწილთან მომდგარი ბუღლოზერე-  
ბის გრუხუნი, შემთხვევით, სამუშაო საათებში, ზეზვას  
ოთახის კედელს არ დაეჯახოს მანქანა, ან მისი ციციხვი  
არ მოხვდეს და საშინელება არ დატრიალდეს-მეთქი!..



## ზეზვაურები

ჩვენმა საერთო მეგობარმა, შესანიშნავმა ლიტერატორმა და მწერალმა ლევან ბრეგვაძემ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა ახლადფეხადგმული დამოუკიდებელი საქართველო შინაური და გარეშე მტრების მიერ კოშმარში იყო, მკითხველის ოდნავ მაინც გახალისების მიზნით, ასეთ ხერხს მიმართა – ხუცა ბერულავას რედაქტორობით გამოშვებულ გაზეთ „მშობლიური კერის“ ფურცლებზე 1992 წლის თებერვალ-მარტის ნომრებში **ზეზვაურების** სახელწოდებით გამოაქვეყნა ზეზვას კაფიები და ექსპრომტები.

რა თქმა უნდა, ლევანის ნებართვის გარეშე, გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს აღნიშნული მასალიდან:

„ალექსი ჭინჭარაულს ძალიან დაუგვიანდა სადოქტორო დისერტაციის დაცვა, რის გამოც ახლობელ-მეგობრები ხშირად საყვედურობდნენ. ერთხელ ალექსის დაბადების დღის აღსანიშნავ სუფრაზე ისევ გაისმა: „მაშ, ამ ხნის კაცი დოქტორი არ უნდა იყოო?“

ხელახალი შემოტყევებით თავგაბეზრებულმა ალექსიმ უსიტყვოდ დაავლო ხელი მის წინ მდგარ დოქს და ღვინის დასხმა დაიწყო. იმ წამში **ზეზვაურაც** გაისმა:

**შენ ისე დაეც დოქტორი,  
მაღე გახდები დოქტორი..**

„ალექსი და ზეზვა რამდენიმე კოლეგასთან ერთად ავტობუსით მიემგზავრებოდნენ შატილს. ბარისახოსთან ავტონისპექტორმა შეაჩერა მგზავრები – გზა არის დაზიანებული და ვერ გაგიშვებთ, უკანვე უნდა გაბრუნდეთ. ინსპექტორს სხვა მანქანების მძღოლებისთვისაც ჩამოერთმია საგზურები. ბევრს ეხვეწა ალექსი, წესრიგის დამცველს – ხევსური ვარ, სამშობლოში მივდივარ, ამაზე უარეს გზებზეც გვივლია, რა უნდა მოგვივიდესო, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მაშინ ავტონისპექტორს ზეზვა მიუახლოვდა და მისი გულის მოღბობა ექსპრომტით სცადა:

მაგ საგზურების წართმევა  
შენგან კი არის ადვილი.  
საქმე ის არის გაგვიშვა,  
ერთხელ გვაჩვენო შატილი.

შენც თან წამოგვყევ მეგზურად,  
ჩვენ იქ უშენოდ სად ვივლით.  
დავსხდეთ და ჭერი ახადოთ,  
გავმართოთ კაი სადილი.

სიმართლეს გეტყვი, ძმობილო,  
ზეზვას არ უყვარს ქადილი.

მაგრამ რა! ინსპექტორის სახეზე ნაკეთიც არ შერხე-  
ულა – ვერ გატყუებს!

მაშინ ზეზვა მასპინძლის როლში მყოფ ალექსის მი-  
უბრუნდა და გამწარებულ გულზე ასეთი ზეზვაურა ახა-  
ლა:

ის კაცი დავსწვი, ალექსი,  
ვინც რომ შენს იმედს მოება.  
ფშავ-ხევსურეთში წანწალი  
ყოფილა ამათება.  
აღარც რა მეშატილება,  
არც მებარისახობა.

დარცხენილმა ლექსომ ზეზვაურას წიქაურა დაუხ-  
ველრა:

რა გიყო, ჩემო ზეზვაო,  
ზოგჯერ მოიტანს დროება.

ამ გაკაფიებას ავტონსპექტორიც ისმენდა. შეატყო,  
სხვანაირ ხალხთან ჰქონდა საქმე; ალბათ ისიც გაიფიქრა  
– ემანდ, უარესი არ წამოსცდეთო და ხელი ჩაიქნია: ჯა-



ნი გავარდეს, წადით, ოღონდ ფრთხილად იარეთ, არაფერი მოიწიოთ“...

„80-იანი წლების დამდეგს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში ერთდროულად დაიწყო მუშაობა ორმა ჩინებულმა ახალგარდა ლიტერატორმა – უჩა შერაზადაშვილმა და ივანე ამირხნაშვილმა. მათზე აქვს ზეზვას ნათქვამი:

**ქართულ პრესას შენაზარდი შვილი,  
ჩვენი უჩა შერაზადაშვილი**

**პუბლიცისტიკის ყამირ ხანაში  
აქვს საძოვარი ამირხანაშვილს.**

„როდესაც თეიმურაზ მირიანაშვილმა ზედიზედ გამოაქვეყნა მწვავე პოლემიკური წერილები, ზეზვა მედულაშვილმა ასე გააფრთხილა მისი შესაძლო ოპონენტები

**როგორც მეველეს ვირი ყანაში,  
თვალში არ მოხვდეთ მირიანაშვილს.“**

**ზეზვაურებს** დავამთავრებთ იმ ეპიგრამით, რომელიც მან მის შემდგენელს – ლევან ბრეგაძეს მიუძღვნა:

**„ჩემ ჭირად გადავეკიდე,  
უფალ რედაქტორს ბრეგაძეს,  
„მშობლიურ კერას,“ თქვენც იცით,  
კლიტე-ბოქლომი ეგ აძევს,  
შაირებ დამაცდენინა,  
გაზეთს ეყოფა ერთ ას წელს.  
ეგ ჩემ კაფიებს უყურებს,  
ვით შედევრალურ შენაძენს.  
„უშენოდ, ძმაო, ხომ იცი,  
ჩვენი გაზეთი ვერ გაძლებს“, –  
თავ მომიქონა სიცილით,  
(ვითომ ჰონორარს ბევრს მაძლევს!),**

მაგის მოცემულ ფულითა  
(გამყიდველს ბევრი ვეზაზრე)  
ძლივს ორი „ასტრა“ ვიყიდე  
ავლაბრის შეყოღებაზე.  
მე აღარ მივალ მაგასთან,  
სხვა მიიტყუოს ღებანზე,  
როგორც აქამდე მივლია,  
კვლავ ვივლი ჩემივ ნებაზე“.

დიდი მადლობა ბატონ ლევანს, რომელმაც ზეზვას არა ერთი და ორი კაფია-ექსპრომტი გადაარჩინა მოსალოდნელ დაკარგვას და მათ შესანიშნავი სახელიც – ზეზვაურები მოუძებნა.



## ზეზვაურების უაღრესად

ლევან ბრეგაძის არ იყოს, მეც ვცადე ზეზვას ექსპრომტ-კაფიების – „ზეზვაურების“ მოძიება და ჩაწერა. პირველი ვისაც ამ გზაზე შევხვდი ჩემი მეგობარი „ოტიოლოგი“, გიზო ზარნაძე იყო. სალამ-ქალამის მერე პირდაპირ საქმეზე გადავედი:

– ჩემო გიზო, შენ თუ „ოტიოლოგი“ ხარ – ოტია იოსელიანს შეაღიე მთელი ცხოვრება, მე რომ „ზეზვალოგიაში“ რაღაც მოკრძალებული სიტყვა წამომცდეს, ალბათ, არ გეწყინება-მეთქი.

– როგორ მეწყინება, ბატონო ჩემო, ამ საქმეს აქამდეც უნდა მოჰკიდებოდით და ფრთები შემასხა.

– ჰოდა, აგაშენოს ღმერთმა, თავშენახული კაცი ხარ, არ შეიძლება რაიმე ზეზვაზე გადანახული არ გქონდეს-მეთქი.

მოკლედ, შევთანხვდით თანამშრომლობაზე. შედეგმაც არ დააყოვნა – რამდენიმე დღეში გიზოსგან ტელეფონით რამდენიმე „ზეზვაურა“ ჩავიწერე, მათგან ორს ახლა ვაქვეყნებ, რომლებიც ეძღვნება ჩვენს საერთო მეგობრებს, მხატვრული სიტყვის მსახურებს – ირაკლი ვაშაყმაძეს და ვიტალი მიქიაშვილს. „ზეზვაურები“ წარმოთქმულია გიზოსთან სტუმრობისას 2006 წლის აპრილის თვეში.

### *ირაკლი ვაშაყმაძეს*

ირაკლი, ჩემგან ზეკაცო,  
გიზოსგან საქუღზეკაცო.  
შენ გენაცვალოს სუყველა,  
ძველი ცეკაც და ტეკაცო.  
შენ რომ გიყვარვარ, ქე ვიცით,  
ჩვენც ხომ გვიყვარხართ, შე კაცო.  
მაგრამ გვადირსე ერთხელაც,  
კრუხივით ლექსის ჩეკაცო.

## *ვიტალი მიქიაშვილს*

ვენაცვალე ჩვენს მეგობარს,  
ჩვენს ვიტალი მიქიაშვილს.  
ხასიათით უცვლელია,  
რაც რომ გარეთ – იგია შინ.  
ჟურნალისტი – მწერალია,  
არის სიტყვის სტიქიაში.  
იმ კოდექსით ცხოვრობს დღესაც  
რომ გადაწყდა ნიკეაში.

\* \* \*

გიზოს მერე ნოდარ ნონიაშვილი შემხვდა, მეგობარი და კოლეგა, ირანისტი და მთარგმნელი. რა თქმა უნდა, ზეზვაზე ჩამოვარდა სიტყვა. გავუმჟღავნე ჩემი ჩანაფიქრი, გაელიმა და მითხრა – **დოქტორ ჟივაგოს** ვთარგმნიდი, ხომ იცი პასტერნაკი რა ფაქიზი პოეტია, ლექსებს ვერ შევბედე, მოდი ამათ ვახუმტის, ზეზვას ჯემალს (აჯიაშვილს), ნომადის ჩამოგურიგებ სათარგმნელად, ცისარტყელასავით ლამაზი რაღაც გამოვა-მეთქი. ის იყო და ზეზვა შემხვდა და გავანდე ჩანაფიქრიც. მან კი ამ ექსპრომტით ამომიწურა ეს თემა:

**რომ ვერ ვუთარგმნო ჟივაგო,  
ნოდარს რა პასუხ მივაგო,  
ხომ ვუღალატე მაშინა,  
როგორც ოტელოს იავო.**

ნოდარმა დაუმატა, მე მანც ვთხოვეო:

**იქნებ ეცადო ზეზვაო,  
ვინძლო, როგორმე ივარგო.**

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, გამოვიდა **დოქტორ ჟი-ვაგოს** ნოდარ ნონიაშვილისეული თარგმანი, რომელიც მთარგმნელს თავად დაემშვემნებინა ცისარტყელასავით ლამაზი საკუთარი პოეტური თარგმანებით.

\* \* \*

ერთხელ, ზეზვას ბელა შალვაშილმა უსაყვდურა – რა დაგემართა ბიჭო, რამხელა ღიპი გაქვსო. ზეზვამ რა თქმა უნდა დაუფიქრებლად მიუგო:

**რომ მქონოდა ღიპი დიდი,  
მაშინ ვოლგას ვიყიდდი.**

მაშინ საბჭოთა პერიოდი იყო და **ვოლგაზე** უკეთეს მანქანას კაცი ვერც ინატრებდა.

ერთხელ იმავე ბელას ზეზვამ უთხრა – გამოიტანე შენი ნარდი ერთი შეგახავლოო. ბელასაც სხვა რა ექნა, გამოიტანა ნარდი და ხუთით ნული მოუგო ზეზვას. წაგებულმა კი თავისი განწყობა ასე გამოხატა:

**შენ რომ მომიგე პიატ ნოლ,  
ვით მოვიშორო პიატნო.**

ბელა „შაჰ-ნამეს“ შეჭიდებული მთარგმნელია. გამოცემული აქვს ამ ეპოპეიდან ნაწილები წიგნებად. პირველი წიგნი რომ გამოვიდა, ზეზვამ თქვა:

**შენ გენაცვალე ბელაო,  
რო მოგვითარგმნე „შაჰ-ნამე“,  
ქართველ მკითხველთა თვალები  
ცრემლის ცვარით რო შაჰნამე.**

ბელამ მას მერე არაერთხელ გამოსცა „შაჰ-ნამეს“ ნაწილები წიგნებად, ახლახან ირანის ისლამური

რესპუბლიკის პრეზიდენტ აჰმადი ნეჟადისგან პრემიაც კი მიიღო.

კარგა ხნის წინ ვაჟაობაზე ბელა და ზეზვას გაბაასებიდან:

–რას მეტყვი, ჩემო ზეზვაო,  
უნდა დავირქვა ბაჩელი.

–დაირქვი, ჩემო ბელაო,  
მერე ვინა გყავს დამშლელი!

\* \* \*

ერთხელ, ედიშერ სარიშვილი, და ზეზვა მისო არა-ბულთან მიდიოდნენ. ედიშერი წინადღის ნაქეიფარი იყო და, ფიზიკურად ისედაც მიღეული, ვერ იყო მთლად ჯან-ზე. მისოს სახლამდე, თანაც აღმართი, ფეხით ორასიოდე მეტრი ჰქონდათ ასავლელი და სანამ მას აივლიდნენ, ზეზვამ ასე გააღექსა მეგობარი:

ედიშერ, პახმელიაზე  
რომ მაქოსავით მიხ-მოსხვალ,  
ხვალზეით ჩემთან მობრძანდი,  
თუ ვერ მიგიღო მისომ ხვალ.  
ნეტა ჭამა-სმა იცოდე,  
კუჭს მწარე არყით იხოსხამ.  
სულ ორი წვეთი გყოფნია,  
დაღვე და ძლივსღა მიჰხოსამ.  
შენ მე და მისოს რას დაგვდევე,  
რაც ჩვენ ცხვარ-თოხლი გვითოხლამს.  
ეგ გამოზარდა დათვისმა,  
ბარისახომ და კიტოხმა,  
მე არაშენდის კლდე-ღრემა,  
მემრე ი, ბარმა, ი, თოხმა.

ამირანივით ჯანი გვაქვ,  
ჯერზე მივირთმეთ თითო ხარ.  
რამდენიც უნდა დაგლიოთ,  
გადის და გვიქრის მიმოდმა.  
შენ ქალაქელი კაცი ხარ,  
ჩტივით ნაზი მიტომ ხარ,  
თუ გინდა ჩვენ დაგვემსგავსო,  
და ჩვენთან ამოიღო ხმა,  
თან ჩაუფინე, როცა სვამ,  
იმღერე მოგცეთ თითო ხმა.  
აემას გეტყვით შვილოსა,  
ჩემი არ დაგრჩეს კი ბოდმა.

\* \* \*

სტუმრად პოეტ ერთერ ზარიძესთან:

ეთერ და როსტომს ვესტუმრე,  
გამომიტანეს ადესა.  
ადესა მე არ ვინდომე,  
არაყი დამიადესა.  
სულ ყველაფერი შევჭამე,  
რაც კი სუფრაზე დადესა.  
ადრე კარგ გოგოს ვიცნობდი,  
ახლა სად ის და სად ესა.

\* \* \*

ზეზვას 70 წლისთავთან დაკავშირებით კობა არა-  
ბულმა ზეზვა, მე და ანდრო ბუაჩიძე ჩავგწერა საპატრი-  
არქოს რადიოში, საიდანაც ზეზვამ თავისთან აგვიყვანა.  
შვილშვილებზე ჩამოვარდა სიტყვა. ზეზვამ კობას შვი-  
ლიშვილს ეს ექსპრომტი მიუძღვნა:

პაპა ზეზუაი ენაცვლოს  
კობას შვილიშვილ ლაშასო,  
ის გაეზარდოს ქართველთა  
იქ ლომისსა და ლაშარსო,  
გაიზრდება და ზღვის პირას  
დაიჭერს რუსის ნაშასო,  
ის რუსის ნაშა ენაცვლოს  
ლაშას კოლას და საშასო.  
ლაშა გეიზარდოს, იმრავლოს,  
სჯობდეს ხონთქარს და ფაშასო.

\* \* \*

საქართველოს მწერალთა კავშირის 23-ე ყრილობის  
დამთავრების მერე, ზეზუასთან კაბინეტში აღმოვჩნდით:  
შოთა ტოგონიძე, თეიმურაზ ჭუმბაძე და ამ სტრიქონების  
ავტორი.

განმარტებების გარეშე ვთავაზობთ ზეზუას სამუშაო  
მაგიდაზე გაწყობილ სუფრაზე პანტასავით წამოსულ  
**ზეზუაურების** იმ ნაწილს, რომელთა ჩაწერაც მოვასწარი:

\* \* \*

ძმაო, ღარიბი სუფრა გვაქვს,  
მარტო გვაქვს პური, კალბასი.  
ღარიბები ვართ, არა გვაქვს  
ჩვენ სუფრა ჰერცოგ ალბასი.  
თუმც არ გვაკლია სამღერლად  
არც ტენორი და არც ბასი.  
კაკალ ბევრი გვაქვს, რად გეგამა,  
ჩხრიალი სხვისი ბამბასი.  
კარგად მოვილხენთ ასედაც,  
თუ კი საწუთრო დაგვაცლის.



\* \* \*

მიჰყევ თამადის ნებასა,  
არ შეეყრები სნებასა.  
არაყი ამომიტანე,  
აქ მიუმატე „ხლებასა“,  
ხელი შეუწყე, თემურავ,  
ამ სუფრის განახლებასა.  
საქმე საქმეზე რომ მიდგეს,  
„პურსა გჭამო“, განა ხლებასა.

\* \* \*

ვინც მორჩილია უფროსის  
ის თავის აღვილს უფრო ზის.  
მეც უფროსს ვემორჩილები,  
არა – ვიღაცა „უფროზისკს.“

\* \* \*

ვენაცვლე ამ ჩემ თემურას,  
სიტყვას სიყალბეს არ აქსოვს.  
სხვის ღექსებს ამბობს ზეპირად,  
თავისი ღექსი არ ახსოვს.  
კახური ღვინო გაუშვა,  
იმის მაგივრად არაყს სომს.  
თუ არაყს ღვინით არ შეცვლის,  
არ ვადღეგრძელებ არასდროს.

\* \* \*

მე ვენაცვალე შოთასა,  
რო ვუღკანივით შფოთავსა.  
ოღონდ მის ტანზე ვხედავდე  
ხმალსა და სალტე-კოტასა.  
მოკასინს იცვამს, რა უყოს  
თუ კი არ გაიბოტასა.  
ღექსები არ მოაკლდება,  
იმის ჯამსა და ქოთანსა.  
ბევრი არ დააღვეინო,  
არსად არ გაიშოტასა.  
პატრულს არ გადაეკიდოს,  
თავი არ გაიშოლტასა.

ზეზვამ არაყი სანამ ჩამოასხა, ერთი კარგად შეან-  
ჯღრია და ჩაილაპარაკა – შეხედე, ჯორი ვერ გაწყვეტ-  
სო!... რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა ბოთლის ყელზე  
კახურ ჭაჭას მოდებული ჯაჭვი.

\* \* \*

2010 წლის 7 მაისს საქართველოს მწერალთა კავ-  
შირში გაიმართა პოეზიის დღესასწაული. მწერალთა კავ-  
შირის შენობა დაუბრუნდა მწერალთა კავშირს და უფ-  
რო ამას ზეიმობენ მწერლები. ქალაქის მერიის მეშვეო-  
ბით მიმდინარეობს შენობის კაპიტალური რემონტი, ამი-  
ტომ დღესასწაული ეზოში ჩატარდა.

დღესასწაული გახსნა მწერალთა კავშირის თავ-  
მჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა. სხვადასხვა პრემიით  
დაჯილდოვდა მრავალი მწერალი. ზეზვას წილად ხვდა  
მწერლობის ამაგდარის, მე – ივანე მაჩაბლის პრემია.

ეზოში შევედით თუ არა, ზეზვამ ჩაილაპარაკა:

**დრო იყო, აქ ვერთობოდით  
ვერლენითა და რემბოთი,  
ახლა კი გვახრჩობს მტვერი და  
დაუსრულები რემონტი.**

ამ დროს ჯემალ ინჯია შემოგვიერთდა. სალამ-ქა-  
ლამს ზეზვამ ეს მიაყოლა:

**აგერ მოვიდა ინჯია,  
კაცი ბრძენი და დინჯია.  
რა სჯობდა გორში ყოფნასა,  
მაინც თბილისი ირჩია.**

პროზაში რაინდის ორდენით დააჯილდოვეს ჭაბუა  
ამირეჯიბი, ოტია იოსელიანი და რევაზ მიშველაძე, პოე-  
ზიაში – ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, ფრიდონ  
ხალვაში... ზეზვამ ჩაიბურტყუნა:

**აქ ჩვენთან ბევრი რაინდობს,  
ზეზვას კი ვინ და რა ინდობს.**

ზაალ ბოტკოველმა მე და ზეზვას ხელი ჩაგვაგლო  
და სურათის გადასაღებად შედარებით თავისუფალ ადგი-  
ლას გაგვიყვანა. სამამულო ომში დაღუპულ მწერალთა  
მემორიალთან აღმოვჩნდით. – სურათს ომში დაღუპუ-  
ლებთან ვიღებთ? – იკითხა ზეზვამ. – სურათს ომში  
დაღუპულებთან ვიღებთ, უომრად დაღუპულებიო – მიუგო  
ზაალმა.

\*\*\*

2012 წლის 27 ოქტომბერია, შოთაობაზე მივდივართ  
მესხეთში. მე და ზეზვამ ავტობუსის უკანა სალონში და-  
ვიკავეთ ადგილები. მანქანა ნელ-ნელა ივსება, ზეზვა კა-  
ფიებით ეგებება ყველას:

ბადრი ქუთათელაძის გამოჩენაზე:

აი, მოვიდა ბადრია,  
თუმცა ძალიან ადრეა,  
მაგას დუშმანი რას უზამს,  
დარეჯანის ძეს ადრიან.  
მშვენივრად იცის ბადრიამ  
მტრის და მოყვარის ყადრია.  
ეგ არა პოლიტიკოსობს,  
არ სწამს არცერთი პარტია,  
სწამს ლჷდი, ღვინო, არაყო  
და მეგობრობის ქარტია.

რამაზ ბერაძის გამოჩენაზე:

ჩემო რამაზ, ასპინძელებს  
რომ ვეწვევით ავტობუსით,  
უვანშმოდ არ დაგეტოვებენ,  
იქ უფროსად ავთო უზით.

*(ავთო ბერიძე – ღონისძიების ორგანიზატორი).*

ვახტანგ ინაურს:

მოდი, ახლო ჩამოჯექი,  
არ დამჯდარხარ რახანია,  
სამი-ოთხი წლის ნაჯდომი  
გამოუშვეს ვახანია.

*(მეცნიერი ვლადიმერ ვახანია ახლახან გამოუშვეს ციხიდან)*

ზეზვას სახლიდან ერთი ბოთლი არაყო წამოეტანე-  
ბინა ხელისთვის, რასაც ეს კაფია მოყვა:

კარგია, როცა შეაქებს  
არაყს რამაზი ბერაძე;  
ჩემი არაყი ტკბილია,  
ვით მელოდია ვერაზე.

თამარ ფარჩუკზედ თქმული:

კი შევასმევდი არაყსა,  
ოღონდ რაიმე დარჩა კი?  
ის ფარჩუკია გვარადა,  
ოღონდ არ არის ფარჩაკი.  
უბრალო ჩითი არ შეგნის –  
მაგრა უხდება ფარჩა კი.

ზეზვას არც თავისი თავი დავიწყნია, არაყი რომ გა-  
დაჰკრა, ჩაილაპარაკა – ჩაიარა ფინაგენტივითო, მერე ჩა-  
იბურტყუნა – სად კახელი და სად გალსტუკიო, ჩამოიქა-  
ჩა იგი და ეს დააყოლა:

ისეც მოვწონვარ ქალს თუკი,  
მა რაღად მინდა გალსტუკი.

რეზო მიშველაძე გზაზე დაგვხვდა, თავის სახლთან  
ახლოს, ვაშლი ამოიტანა – ჩემი ეზოს ვაშლია, ყველამ  
ჩამოირიგეთ, თან ეს ამბავი დღიურებში ჩაიწერეთო. ზეზ-  
ვამ ეს ექსპრომტი შეაგება:

ნოველების ზღვას მიაღვევს,  
მარჯვედა მართავს რეზო ნავს.  
ზღვა ნაპირიდან გადმოდის,  
ვერ უძლებს რეზოს რეზონანსს

ვაშლის ჩამორიგება რომ მორჩა, რეზომ ასე მოგ-  
ემართა:

**ხომ არაფერი შამშლია,  
ყველას ხომ შეხვდა ვაშლია?**

ჩვენი სახელით ზეზვამ მიუგო:

**აგერ იმ გოგოს არ შეხვდა,  
თმები რომ მიშლი-მაშლია.**

ვიღაცამ ბაგრატიონები ახსენა, ზეზვამ ეს მიაყოლა:

**მე ვენაცვალე ბაგრატიონებს,  
სანამ შეეძლოთ, მაგრათ იომეს.**

ახალციხესთან ასეთი ღოზუნგი დაგეხვდა: „ერთად შევეგებოთ ევროპას“, რომელსაც ზეზვა ასე გამოეხმაურა:

**ერთად რომ გვინდა ყველასა  
რომ შევეგებოთ ევროპას,  
რა გუყოთ სახელგანთქმულსა  
ჩვენ ქართულ დაუდევრობას,**

\* \* \*

2013 წლის 11 ივლისია, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეწეობა ტრეინინგი ახალგაზრდა მწერალთათვის. მოწვეულები ვართ დალი ფანჯიკიძე, ზეზვა მედულაშვილი, ვლადიმერ სარიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ტრეინინგის დამთავრების მერე, მე და ზეზვა კათხა ლულზე ჩამოვსხედით ბარში.

კულტურის მინისტრად დანიშნეს გურამ ოდიშარია, ჩვენი წრის კაცი. ზეზვას დაუპირებია მასთან რაღაცის სათხოვნელად მისვლა – ლიფტთან შემხვდა, ერთი წუთით ვთხოვე მოესმინა, მითხრა – ახლა არა მცალიაო. ამ დროს კიდევაც ვიღაცამ მობილურზე დაურეკა, თანაც ლიფტიც მოვიდაო!.. – მითხრა გაკვირვებით.

რას იზამ-მეთქი, გამოვხატე თანაგრძნობა. – აბა, რა უნდა ვქნაო და ეს მოაყოლა:

საცა ვინ დასვამს მინისტრებს,  
იქ შენს ზეზვასა ვინ ისწრებს,  
მე და შენ უნდა გვიყურონ,  
როგორც არყის და ღვინის მტრებს.

\* \* \*

მწერალთა კავშირში ვართ, მწერალთა მსოფლიო ფესტივალზე, 2013 წლის ცხელი ივლისია. მანანა გორგიშვილმა მე და ზეზვას ცივი მინერალური წყალი მოგვაწოდა. ზეზვამ მადლობა ასე გადაუხადა მანანას:

მანანაო, მანანაო,  
ციტ მოსულო მანანაო,  
შენმა ყოფნამ ჩემი ყოფნა  
სამყოფნელად მანანაო.  
თუ ბესიკი სხვას უმღერდა,  
ერთხელ აქო მან ანაო,  
მე შენ გაქებ, რა იქნება,  
ფიქრში შენც რომ მანანაო.



## არაშენდაში ვართ

2010 წლის უჩვეულოდ მზიანი დეკემბერის დღეა, არაშენდაში ვართ. ყველაფერი ეტყობა ამ სოფელს – არაშენებულის გარდა. სოფელი შეხვედრას უწყობს თავის საყვარელ შვილს – ზეზვა მედულაშვილს. აი, ის სოფლის ბირჟა, სადაც ზეზვას გული და სული იკრიბება. ისმის ცალკე ნარდისა და ცალკე დომინოს ქვების ჭახატუხი. ჩვენი პატარა ავტობუსი, მარშუტკას რომ ეძახიან, ჩერდება სოფლის შუაგულში. ხალხი ნელ-ნელა შემოეკრიბა მანქანას. ჩვენც ნელ-ნელა გადმოვდივართ და ვესალმებით ყველას. კლუბში შეხვედრა სამ საათზეა დანიშნული, ნახევარი საათი დრო გვაქვს. ბელა შალვაშვილმა და ზაალ ბოტკოველმა არ დააყოვნეს და ნარდის მოთამაშეებს შეუერთდნენ.

კლუბში ტევა არ არის. მოუმზადებიათ საათნახევრიანი ფილმი ზეზვაზე. სცენარი მშვენივრად მოუფიქრებიათ – ერთი დღე ზეზვას ცხოვრებიდან. იგი იწყება სახლიდან ზეზვას გამოსვლით: ოჯახის კაცი ზეზვა ბაზარში მიდის, მეუღლე – ქალბატონი კამილა აბარებს რაღაც-რაღაცებს. შინიდან გამოსული ჩვენი გმირი, ჯერ ეზოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებს – სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ჯიხურებს ჩამოურიგებს წინა დღის ვალებს – თითო-ოროლა ლარებს და მხოლოდ ამის შემდეგ, ვალმოხდილი კაცის იერით, გასწევს ბაზრისკენ.

ზეზვა ბაზარში ხან ერთ დახლს მიადგება, ხან მეორეს, ხან მესამეს. მრავალი ენის მცოდნე ჩვენი გმირი ქართველს ქართულად ევაჭრება, აზერბაიჯანელს – აზერბაიჯანულად, სომეხს – სომხურად...

შიგადაშიგ კადრებში გამოჩნდებიან ზეზვას მეგობარი მხატვრული სიტყვის ოსტატები: რევაზ მიშველაძე, რამაზ პატარიძე, ლევან ბრეგაძე, ბელა შალვაშვილი, ანდრო ბუაჩიძე, ამ სტრიქონების ავტორი და სხვები, რომლებიც საქმბარ სიტყვებს არ იშურებენ მართლაც ამ მხატვრული სიტყვის ოსტატზე. იგონებენ სახალისო ეპი-



ზოდებს მისი ცხოვრებიდან, რომელსაც დარბაზი სათანადოდ ეხმაურება.

გამელიმა, ფილმი რომ დაიწყო, – როდის აქეთ გახდა ზეზვა ოჯახის კაცი-მეთქი, – ჩაუვლავარაკე ბელას, – ეგა თქვიო! – დამიდასტურა მან და გემრიელად ჩაიცინა.

ღიას, სად ზეზვა და სად ბაზარიო!.. და ფილმიც დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო. ბაზრიდან გამოსულმა ზეზვამ დატვირთულ ხელებზე რომ დაიხედა, იფიქრა, ეს სახლში როგორ უნდა წავიღო და ერთ-ერთ მონატრებულ თანასოფელელ მეგობარს – მალხაზ გილიგაშვილს მიადგა სახლში.

ამის შემდეგ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ეს თქვენი ლაღი ფანტაზიისთვის მიმინდვია, ძვირფასო მკითხველო.

ფილმის დასრულების მერე, ადგილობრივი მხატვრული ძალებით, გაიმართა მეტად სასიამოვნო კონცერტი. დიდხანს ცვლიდა ერთმანეთს სიმღერა, ცეკვა, ლექსი, სიტყვა...

არანაკლებ სასიამოვნო იყო შეხვედრის ბოლო აკორდი – ერთ-ერთ ოჯახში კახური გულუხვობით გაშლილი სუფრა, თავისი სიმღერებით, იუმორით და თამაზ მეღულაშვილის ბრწყინვალე თამაღობით.

P.S.

მეორე დღეს ბელას შევეხმიანე ტელეფონით, გავუზიარე ჩემი აღფრთოვანება შეხვედრასთან დაკავშირებით.

მან კი, ცოტა არ იყოს, ბრაზმორეულმა თქვა – რა იყო, რა მოხდა, სად გადაასხან არ იციან სასმელი, გამოეტანებიანთ ერთი ბოთლი ღვინო, გზაში იუბილარის დასალოცადო!

ბელა კახელია და მეგრელებზეა გადარეული, მე პირიქით – მეგრელი ვარ და კახელებზე ვკარგავ ჭკუას, ვერ მოვითმინე და მივახალე – რაო, სთხოვე ვინმეს რამე და უარი გითხრა-მეთქი?

ეგრევე ხმა ჩაკმინდა.

## პირველი მარცხალი

სოფელში ჩასულებს, ზეზვა მედულაშვილისადმი მიძღვნილი არაშენდის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა კომპიუტერზე აკრებილი ჟურნალი – პირველი მერცხალი დაგვხვდა. აი, სათაურები მასში გამოქვეყნებული წერილებისა: „წინაპრები“, „მშობლები“, „დაბადება“, „სკოლა“, „სტუდენტობა“, „შემოქმედება“. ამონარიდები ჟურნალიდან:

... „შანათიანი“ – არაშენდაში ასე ეძახიან მედულაანთ დიდი გვარის იმ განშტოებას, რომლის წარმომადგენელიც იყო ბატონ ზეზვას პაპა – ტიმოთე ანუ ტიმო. „შანათე“ – მისი ბებია, ამაყი და დაუმორჩილებელი ქალი ყოფილა. ეს მეტსახელი კი არაჩვეულებრივი სილამაზის გამო რქმევია. „შანათაო“, ასე ამბობდნენ თურმე.

ტიმო საშუალო ტანის ლამაზი და ძალიან ყოჩაღი კაცი ყოფილა. ერთხელ ღეკებს მისი საქონელი გაუტაცნიათ. სახლში მობრუნებულს ეს რომ გაუგია, გამოკიდებია, დაუფრენია ისინი და თავის საქონელთან ერთად მათიც გამოუყოლებია. საერთოდ კი ძალიან გულკეთილი, გულთბილი და სტუმართმოყვარე კაცი ყოფილა“...

... „არაშენდაში, შანათიანთ უბანში, გზის პირას იდგა პატარა, ნახევრად დანგრეული სახლი. არავინ იცოდა რამდენი ტკივილით, სევდითა და ცრემლით იყო გაჯერებული მისი კედლები. ბევრს დღესაც ახსოვს მის აივანზე მოფუსფუსე ქალი, რომელიც ზოგჯერ დიდინებდა, ზოგჯერ კი გიტარაზე ან ფანდურზე ამღერებდა ნაღვლიან სიმღერებს სიყვარულზე, რომელიც 16 წლის ასაკში ეწვია და მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდა „მოღალატე ქმარზე“, რომელმაც მიატოვა, წავიდა ომში და აღარ დაბრუნდა.

მისი სევდიანი და ამაღლეგებელი სიყვარულის ისტორია კი ასე დაიწყო: გთავაზობთ ნაწყვეტს მისი მულის – ქეთო მედულაშვილის მოგონებიდან: „ზამთრის სუსხიანი დღე იყო. ჩემი ამხანაგი გოგო ქაქანით მოვარდა ჩემთან და მითხრა: „ჩქარა წამოდი, კოლას ისეთი ლამაზი

გოგო მოჰყავს, მთელი სოფელი გარეთ არის გამოშლილი.“ მე მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი. ის გოგო კი – ბაკურციხელი ნინა ლუაშვილი, დედაჩემის მეზობელი იყო. ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით. მე კისრისტეხით გავიქეცი მათ შესახვედრად. ნინას თან ორი უფროსი და ახლდა. ძალიან მორიდებით მოდიოდნენ, არ იცოდნენ ოჯახი როგორ შეხვდებოდათ, მამაჩემი სახლში არ იყო, დედაჩემმა კი ვიშივიში დაიწყო, როგორ გაბედა ამ სიცივეში გოგოს ფეხით წამოყვანაო. მე გავიქეცი მამასთან მის შესამზადებლად, რადგან იგი წინააღმდეგი იყო კოლას დანიშვნის, ჯერ ბაღლიაო (კოლამ თბილისში დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და კოლმეურნეობაში მუშაობდა მიწათმოქმედებად).

მამაჩემმა მშვიდად და ღიმილით მიიღო ეს ახალი ამბავი და მითხრა: „სტუმრები გეყოლია და არაფერი დააკლოთო!“ მე კი სირბილით გამოვიქეცი სახლში და ღუმელის გარშემო შეკრებილ დაბნეულ სტუმრებს შევუძახე: „არიქა, სუფრა გავშალოთ-მეთქი!“

... „რა დავარქვათო? იკითხა ვიღაცამ. „ზეზვაო“ ბრძანა ტიმო პაპამ, რომელმაც ყმაწვილკაცობაში გაიცნო ვაჟა-ფშაველა უფროსი ძმის ილიას მეშვეობით და სიკვდილამდე მისი შემოქმედების მოტრფიალე დარჩა“...

... „მის (ზეზვას) მიღწევებს საფუძველი სწორედ სკოლის წლებში ჩაეყარა. სწავლობდა ფრიადებზე, ყველა საგანს ხალისით სწავლობდა, მაგრამ ქართული ენა და ლიტერატურა განსაკუთრებით უყვარდა და ეს არც არავის უკვირდა. მონაწილეობდა სხვადასხვა ტურებსა და კონკურსებში. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი. კითხულობდა ძალიან ბევრს, მაგრამ ეს ყველაფერი არ აკმაყოფილებდა. მას აუცილებლად სჭირდებოდა ხალხთან ყოფნა, იუმორის მოსმენა, ზეპირად იცოდა სოფელში გავრცელებული ყველა ანეგდოტი, ცოტა რომ მოიზარდა, იწერდა კიდევ ყველაფერს. იცნობდა სოფლისა და მისი შემოგარენის ყოველ კუთხე კუნჭულს“...

... „რიყე, სადაც ის (ზეზვა) ბიძასთან ერთად ცხოვრობდა, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული

უბანი იყო. ამბობენ, საქართველოში 80-მდე ეროვნების ადამიანი ცხოვრობსო. ამ ნახევრად დანგრეულ, მჭიდროდ დასახლებულ ხალხმრავალ უბანში კი შეიძლება უფრო მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა. მათთან ყოფნა უადვილებდა ენების შესწავლას მომავალ პოლიგლოტს“...

მადლობის მეტი რა მეტქმის, ძვირფასო მოსწავლეებო, რომ ასეთ სიყვარულს ამჟღავნებთ თქვენი სოფლის შვილის მიმართ, როგორი შვილის ყოლასაც ყველა სოფელი ინატრებდა საქართველოში.



## დასასრულის მაგიორ

ზეზვას მამა არ ახსოვს, პაპის ხელშია გაზრდილი. ბავშვობაში თურმე სულ პაპას დაჰყვებოდა სამწყემსაოდ. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს მრავალეთნიკური მოსახლეობის საქონელი, განსაკუთრებით, აზერბაიჯანულისა და სომხურის, ასე ვთქვათ, ერთად ძოვდა...

ვინ იცის, იქნებ სულაც იქიდანაც აუღო გეში ბაღმა სომხურსა და აზერბაიჯანულს და, საერთოდაც, უცხო ენებს...

ზეზვას მამა – კოლა ომში გაუწვევიათ, ის-ის იყო, ფრონტისკენ მიმავალი მატარებელი დაძრულა, რომ მის ფეხმძიმე მეუღლეს, ქლბატონ ნინას ნერვიულობის გამო, ნაადრევი მშობიარობა დაწყებია და სანამ ზეზვას მამა უკანასკნელად შეავლებდა თვალს მშობლიურ სანახებს, ბავშვიც დაბადებულა.

მახარობელი სადგურზე რომ გამოსულა, მატარებელი დაძრული ყოფილა და იმ დალოცვილს, ზეზვას მამისთვის როგორღაც ხმა მაინც მიუწვდენია – კოლა, ბიჭი შეგეძინაო! ბიჭი!..

კოლას უცვებ ქამარი მოუხსნია, ქუდი მოუძვრია და, ვაგონების ბორბლების მონოტონურ რაკარუკის ფონზე, დაუძახნია:

ზეზვა დაარქვით! ზეზვა! ეს ქამარი შემოირტყას და ეს ქუდი დაიხუროსო!

დღემდე კაცურად არტყია ზეზვას ის ქამარი და ახურავს ის ქუდი!

## მინაწილის მაგიორ:

ამას წინათ შეგხვდით ერთმანეთს მე და ზეზვა – გამარჯობა ზეზვა, როგორა ხარ-მეთქი, – როგორ ვიქნები, ჯონჯოლივითა ვარ, თუ ვჩანვარ ყველას ვუნდივარ, თუ არა – არავის ვახსოვარო.

ჩემო ზეზვა, შენ ყოველთვის ჩანხარ, მუდამ ყველას უნდიხარ და ყოველთვის ყველას ახსოვხარ!

## მკობრები ზეზვას მისხივ

### ვაზრდილი ღვთისმშობლის სათნოებით

მე უკვე დამთავრებული მქონდა ჩვენი დროის საქართველოს ერთ-ერთი უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის განყოფილება, როცა ზეზვა გავიცანი, ჩემზე ექვსი წლით უმცროსი, იმავე განყოფილების წარჩინებული სტუდენტი.

მას მერე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანიც კი გამოხდა, მაგრამ ჩვენს მეგობრობას უკეთური არაფერი შეხებია, მით უფრო, რომ ჩვენ ერთი ხელობისანი ვიყავით...

თვითნაბადი ნიჭიერება უფლის წყალობაა, მაგრამ დაბადებული კაცის ცხოვრების მეგზურიც ხომ უფალია... მისი ბიოგრაფიის საძირკველი იქნება პირველად მაშინ გაიჭრა, როცა მამამისს სიყრმის შვილის დაბადება ახარეს. იგი მაშინ ახალწვეულებით სავსე მატარებლით რუსეთისკენ ომში მიდიოდა. გახარებულმა ნიკოლოზმა შვილის დაბადება დაძრული ვაგონიდან ნასროლი ქულით აღნიშნა.

ეს იყო და ეს, მთელი მამაშვილობა...

ზეზვა დედაშვილობის მადლის სიყვარულით მოდის. დედა კი ობლად დარჩენილ შვილს ღვთისმშობლის სათნოებით ზრდიდა.

ჩემგან განსხვავებით, ზეზვა მხოლოდ არმენოლოგი ფილოლოგი არ არის. მას, ლიტერატურულ ნიჭთან ერთად, პოლიგლოტის ნიჭიც დაჰყვა, რაც შემდგომ მისი შემოქმედების წარმატებით წარმოჩენის საწინდარი გახდა. მე მხოლოდ ზეზვას სომხური თარგმანებიდან მოვიყვან ერთ მაგალითს:

ზეზვამ თარგმნა ჰრანტ მათევეოსიანის პროზა. მახსოვს, ერთხელ მათევეოსიანს ვუთხარი: ასე მგონია, ამ ბრწყინვალე პროზის ავტორი შენ კი არა ზეზვაა, რაც, თითქოს, შენ არანაკლებ გენიალურად თარგმნე-მეთქი!

ჰრანტმა უმაღლ მიპასუხა: თარგმანის მსგავსი შეფასება, თანაც ასე მოკლედ და სხარტად, არ მახსოვსო.

კარგი ოქრომჭედლის ნახელავივითაა გამორჩეული ზეზვას ლიტერატურული ნაღვაწი.

*გივი შაჰნაზარი*

## **ორიგინალური ადამიანი**

ზეზვა მედულაშვილი, პირველ რიგში, არაორდინარული, ორიგინალური ადამიანია.

ასეთი იყო ახალგაზრდობაში (ჯეელობაში, როგორც თვითონ იტყვოდა). მე, როგორც მის უმცროს კოლეგასა და მეგობარს, კარგად მახსოვს, როგორ მოვიდა ერთ მშვენიერ დღეს უნივერსიტეტში მწვანე ცილინდრით და მერე დიდხანს დადიოდა ასე – ჩვენი, უფრო ახალგაზრდების (ჯეელების), გასაოცრად. ასევე მახსოვს, როგორ მოგვმართავდა ხოლმე – მოხუცო!“

ორიგინალობა იმიტომ ვახსენე, რომ როგორც ჩანს, ეს ნიჭიერი ადამიანების თვისებაა. ზეზვა მედულაშვილი ისეთი ადამიანია, რომელსაც კონკრეტულად მომადლებული აქვს ერთი დიდი ნიჭი – ლექსის თქმისა. კაფიობაში, მაგალითად, იგი შეუდარებელია, საერთოდ ექსპრომტების თხზვაში. მახსოვს, ერთხელ რაღაც ნადიმის წინ, სანამ სუფრასთან მიგვიწვევდნენ, ელიზბარ ჯაველიძემ და აწ განსვენებულმა შოთა ჭუბაბრიამ გადაწყვიტეს პაექრობა გაემართათ; ელიზბარის სუფლიორი ზეზვა იყო, შოთასი – ნომადი ბართაია. სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო, აქ ვერ მოვიტან მაშინ გამოთქმულ ლექსით შედეგ-

რებს, მაგრამ შედეგს გავიხსენებ: ჯაველიძე-მედულაშვილის წყვილმა აშკარა უპირატესობით მოიგო.

როგორც მომავალ არმენისტს, მას მაშინვე მიაქციეს ყურადღება, სტუდენტობაშივე: პროფ. ლეონ მელიქსედ-ბეგიც, პროფ. ივანე შილაკაძეც გამუდმებით ზრუნავდნენ ერთ პატარა, ნაქირავებ ბინაში მცხოვრებ ახალგაზრდაზე.

და ამ თავისი შესაძლებლობის რეალიზებაში იგი ორიგინალური გამოდგა: თავისი პოეტური ბუნების გამოხატვისთვის მხოლოდ თარგმანის გზა ახპარეზი აირჩია და აქ მართლაც შედეგები შექმნა თუნდაც „ქორღლის“ ბრწყინვალე თარგმანის სახით. იგი თარგმნის სომხურიდან, სპარსულიდან, თურქულიდან, აზერბაიჯანულიდან. ყველა ამ ენას ზედმიწევნით კარგად ფლობს, და აქაც – ორიგინალურობა: მისსივე თქმით, მხოლოდ იმ ენებს დაეუფლა, რომლებშიც სქესის გრამატიკული კატეგორია არ არის.

მისი მთარგმნელობითი პრაქტიკიდან ერთ ამბავს გავიხსენებ. ერთ მშვენიერ დღეს რამდენიმე კაცს წაგვაკითხა საიათნოვას ერთი ოთხსტრიქონედის მისეული თარგმანი, რომლის პირველი ტაეპი ასე უღერდა:

ეს ცხოვრება ფანჯარაა, თაღმა თავი მომაბეზრა...

მოგვეწონა, მეორე თუ მესამე დღეს გადავშალეთ „ლიტერატურული საქართველო“ და აღმოვაჩინეთ, რომ იქ გამოქვეყნებული პრაქტიკულად იგივე თარგმანი, ოღონდ გივი შაჰნაზარის მიერ შესრულებული. ვეუბნები ზეზვას: „ეს რა არის, შაჰნაზარის თარგმანს გვიკითხავდი?“ ეს – ხუმრობით, თორემ ჩვენ უკვე მივხვდით, რომ ასე თარგმნის შესაძლებლობას თვითონ სომხური ორიგინალი იძლეოდა, რომლის დიდი ნაწილი, მათ შორის ყოველი სტრიქონის საკმაოდ გრძელი (რამდენიმესიტყვიანი) სარითმო სეგმენტი სპარსულიდან ნასესხები სიტყვებისგან შედგებოდა, და ეს სიტყვები ქართულშიც აქედან იყო ნასესხები და ასევე უღერდა. არ გასულა ერთი საათი, ზეზვამ ახალი თარგმანი მოგვიტანა: ეს ცხოვრება ფანჯარაა, თაღისაგან ბეზარს მოველ...



უკან მოსახედი და გასახსენებელი კიდევ ბევრია, მაგრამ მე მინდა წინ გავიხედო და ვისურვო, ზეზვა მედულაშვილის შესაძლებლობები კიდევ უფრო ნაყოფიერად განსორციელდეს ქართული პოეზიის მოყვარულთა (იმედია, ასეთები კიდევ შემოგვრჩნენ) გასახარად.

*აპოლონ სილაგაძე*

## **ზეზვა უნიჭიერის მთარგმნელია**

ზეზვას უნივერსიტეტიდან ვიცნობ, ჩვენ მეგობრები ვართ. იშვიათი ბუნების ადამიანი და უნიჭიერესი მთარგმნელია. აქვს ბრწყინვალე თარგმანები სომხურიდან და აზერბაიჯანულიდან.

ზეზვა პოლიგლოტია – განსაკუთრებით ფლობს აღმოსავლურ და კავკასიურ ენებს.

ზეზვა ექსპრომტების და კაფიების დიდოსტატია, ზეზვა ჩვენი კოლორიტია.

*ბონდო არგელაძე*

## **ასლი მქმონხვევში მრავლად იყო**

ზეზვა მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული კაცია. ერთ-ერთი მათგანი მისი ენების ათვისების უნარია.

ამა თუ იმ ენაზე საუბარი რომ არ ჰქონდეს მოსმენილი, უცებ აუღებს ალღოს და საუბრის შინაარსაც ჩასწვდება ამ ენაზე. ზეზვას ეს ნიჭი მის მთარგმნელობით მოღვაწეობაში გამოვლინდა. მან თარგმნა სომხურიდან, აზერბაი-

ჯანულიდან, სპარსულიდან, უზბეკურიდან და საიდან აღარ, მაგრამ აქ მთავარი არის მისი თავანკარა, მდიდარი ქართული, რომლითაც დღეს ბევრი ვერ დაიკვებინს. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი პოეზიასა და პროზას ერთნაირი ძალით თარგმნის.

ზეზვა სათუთი და გულჩვილი ადამიანიც არის. 50 წელი იქნება რაც ჩვენს მეგობრობას არაფერმა შეურყია საფუძველი. მახსოვს, ერთხელ ერთად დავიწყეთ ვაჟას კითხვა. ხან პროზა ვიკითხეთ, ხან პოემები და ლექსები. ამა თუ იმ ადგილას მე რომ ამეტირებოდა, შევატყობდი, ზეზვასაც თვალები ცრემლით ჰქონდა დანამული. იმ ადგილას რომ მივედიტ – „ვახ, მკვდარო ვაჟაკობაო, ცოცხლად დამარხვავ თავისა“ – ზეზვამ თავი ვერ შეიკავა და აღრიალდა. „ერთხელ მოუნდა აღუდას, ერთხელ მობრუნვა თავისა, მშვიდობით საჯიხვეებო, გულში ამშლეღნო ბრალისა“ – ზეზვამ აქაც თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა იტირა.

ასეთი შემთხვევები მრავლად იყო.

*ბელა შალვაშვილი*

## **მადლიერება**

როცა ზეზვა მედულაშვილზე ვფიქრობ, პირველი სიტყვა, რაც მყისვე ამეკვიტება ხოლმე, მადლიერებაა.

ზეზვასი მადლიერია ქართველი მკითხველი, დახვეწილი და გემოვნებიანი მკითხველი, რომელსაც კარგად მოეხსენება თუ რა ბრწყინვალე თარგმანებით ამდიდრებს იგი ქართულ მწერლობას და რა სრულფასოვნად წვდება ის სათარგმნი მასალის აზრს, მწერლის სულს. უმნიშვნელო ნიუანსიც კი არ რჩება შეუმჩნეველი, მისი ფრაზა მოქნილია, ცოცხალი, ლაღი და დინამიური.

ქართველი მკითხველი და მადლიერება ვახსენე, ახლა ნახეთ, რა მადლიერნი არიან ჩვენი სომეხი, აზერბაი-

ჯანელი, თურქი, უზბეკი... კოლეგები, რომელთა მშობლიური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, მართლაც, რომ ბრწყინვალედ თარგმნა ამ ფუტკარივით დაუზარელმა შემოქმედმა.

მერე რა კეთილი და რა სათნო პიროვნებაა, ხალასი, უემბაკო, გულთბილი, ისეთი, საკუთარ სულში რომ მიუჩენ ბინას და ნებისმიერ გაჭირვების უამს, საღბუნად და მტლედ რომ დაგედება

ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მისი თავი, იგი ძალიან სჭირდება საქართველოს.

*ზაალ ბოტკოველი*

## **ზეზვას ხიზლი**

ზეზვა მედულაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე გამოჩნდა, თუ არ მეშლება, 1959 წელს, რაც ერთგვარ სასიამოვნო ფაქტად იყო აღქმული პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ. ამის მიზეზი იყო არა იმდროინდელ ფაკულტეტზე სტუდენტი ვაჟების ნაკლებობა, როცა თითოეული სტუდენტი ვაჟის გამოჩენა მნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა, არამედ ის ხიზლი, რაც ახლდა ზეზვას.

ზეზვასთან ურთიერთობა თავიდანვე მეტად სასიამოვნო იყო მისი უბრალოების, სპეტაკი და თბილი გულის გამო. ყოველ ჩვენგანს, მათ შორის უფროსკურსელებსაც, ისეთი გრძნობა გვექონდა, რომ ამ ბიჭს დიდი ხანია ვიცნობთ და ვურთიერთობთ მასთან. მან თავიდანვე დაიმკვიდრა ბეჯითი, ნიჭიერი, ფართო ინტერესების მქონე სტუდენტის სახელი, რომელსაც პატივს სცემდნენ მისი მასწავლებლები (იგი სწავლობდა სპარსულს, თურქულს, სომხურს და კიდევ რომელი ერთი ვთქვა...) და ამ-

ხანაგები. ჭიდაობდა (უნივერსიტეტში სპორტს იმ დროს ძალზე დიდი ყურადღება ექცეოდა), სისტემატიურად მონაწილეობდა ტურისტულ ლაშქრობებში, რომლებსაც ბატონი ოთარ გიგინეიშვილი აწყობდა (დღემდე დაუვიწყარია ერთად გავლილი მარშრუტი: სოფ. დილომი, საწკეპლის ქედი, ქვათახევი...).

მაშინდელ სტუდენტებს კარგად გვახსოვს მისი სიმღერა (ოლიმპიადაზე შესრულებული „ოროველა“ და სხვ.).

განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი პოეტური თარგმანები და რა ბედნიერებაა, რომ იგი ამ ღვთით ბოძებული ნიჭის „მონა! გახდა და გვახარებს თავისი შემოქმედებით.

*გოგი ანთელავა.*

### **აღშქდილი პაუოოსნუშიო**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზეზვა მედულაშვილის ფენომენი მეტად თავისებურია. იგი მრავალმხრივი და საინტერესო შემოქმედია. მას ვერავინ შეედრება არაერთი აღმოსავლური ენის თავისუფლად ფლობაში. ზეზვას ხელეწიფება აუდიტორიის წინაშე წარდგეს სომხურად, აზერბაიჯანულად, სპარსულად, უზბეკურად... და ატყვევოს და ადაფროვანოს მსმენელი, აღძრას მასში თავგანისცემის განცდა.

ამასთან ერთად იგი მაღალნიჭიერი შემოქმედია. თავისი შინაბუნებით იგი ჭეშმარიტი მთარგმნელია. ზეზვას ეკუთვნის ისეთი უმნიშვნელოვანესი თარგმანები, როგორიცაა საიათნოვას აზერბაიჯანული და სომხური ლექსები, „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“, აზერბაიჯანული ხალხური ეპოსი „ქოროღლი“, გამოჩენილი სომეხი პროზაიკოსის ჰრანტ მათევეოსიანის სომხური მოთხრობე-

ბი. სანიშუშოა მისი რუდუნებით შეგროვებული და საინტერესოდ დაწერილი მედულაშვილების გვარის ისტორია.

ზეზვა მედულაშვილის მხატვრული სიტყვა პოეზიასა და პროზაში ლაღი და თავისუფალია, თავანკარა ქართულით შესრულებული. ზეზვა კახური გენის გამობრწყინებაა, იგი შესანიშნავად ასრულებს კახურ სიმღერებს.

ზეზვას სტუდენტობიდანვე ვიცნობ, მისი პიროვნება უმაღლესი პატიოსნებითაა აღბეჭდილი. ზეზვას შესახებ ბევრი რამ თქმულა და ბევრიც ითქმება.

*მერაბ რობაქიძე*

## **ზეზვა არ იძინს დროთა სივრცეში**

ზეზვა მედულაშვილს პირველად შევხვდი ჩემი სტუდენტობის პირველ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში, როგორც თანაკურსელ სტუდენტს. თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე მაშინ წარმოდგენილი იყო რამდენიმე სპეციალობა, რომელთაგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სპარსული ენისა და ლიტერატურის (ირანისტიკის) სპეციალობა. ქართველი მკითხველი ასე თუ ისე იცნობდა სპარსულ ლიტერატურას (ან სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას) ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი ირანისტიკის წყალობით. ძალიან პოპულარული იყო ომარ ხაიამის პოეზია ამბაკო ჭელიძის თარგმანებით. ამიტომ, აბიტურიენტების დიდ ნაწილს ირანისტიკა იზიდავდა, მით უმეტეს, თუ ახალგაზრდას პოეზიისა და მხატვრული თარგმნისადმი ჰქონდა მიდრეკილება. ზეზვა მედულაშვილი სწორედ ასეთი ახალგაზრდა გახლდათ

და სპარსული ენის შესწავლა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მისი სტუდენტური წლები მაინც ნაკლებად პოპულარულ არმენოლოგიას დაუკავშირდა. საქმე იმაშია, რომ თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მაშინდელ ხელმძღვანელებს, და რაც მთავარია უნივერსიტეტის დიდ რექტორებს (აკადემიკოსები ვ.კუპრაძე, ე.ხარაძე, ი.ვეკუა), კარგად ესმოდათ არმენოლოგიის მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის და მიუხედავად იმისა, რომ ამ სპეციალობაზე შემოსულ სტუდენტთა რაოდენობა უმნიშვნელო იყო, ცდილობდნენ საკუთარი პასუხისმგებლობით გაეხსნათ არმენოლოგიის ჯგუფი. ახლად ჩარიცხულ პირველკურსელებს უხსნიდნენ ამ დარგის მნიშვნელობას, უსახავდნენ პერსპექტივებს სამეცნიერო კვლევის და მთარგმნელობითი საქმიანობის სფეროში და ბოლოს, სთხოვდნენ მათ დაუფლებოდნენ ამ სპეციალობას. იმ ნიჭიერ სტუდენტთა შორის, ვინც ეს რჩევა გაითვალისწინა იყვნენ დღეისთვის კარგად ცნობილი სპეციალისტები ზეზვა მედულაშვილი, მერაბ რობაქიძე და სხვები.

ზეზვა მედულაშვილმა თავიდანვე მიიქცია პროფესორ-მასწავლებლების და მეგობრების ყურადღება აღმოსავლური ენების სიყვარულით და შეიძლება ითქვას, მათი ათვისების განსაკუთრებული ნიჭით. კახეთის ერთ-ერთ სოფელში სკოლადამთავრებულ ახალგაზრდას, რა თქმა უნდა, არავითარი გამოცდილება აღმოსავლური ენების სწავლისა არ ჰქონდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის. ზეზვა არ შემოიფარგლა არმენოლოგიით ან სომხური ენით და კარგად დაეუფლა მისთვის სრულიად უცხო სპარსულ და თურქულ (აზერბაიჯანულ) ენებს. ზეზვა, როგორც არმენოლოგი ყალიბდებოდა თურქოლოგების, ირანისტების და არაბისტების გვერდით, რაც ხელს უწყობდა მისი ინტერესების გაფართოებას, მაგრამ

მაინც გადამწვევტი მნიშვნელობა ჰქონდა მის ნიჭს, მიზანდასახულობას და შრომისმოყვარეობას.

სტუდენტი ზეზვა სპორტსმენიც იყო და როგორც კახელების დიდი ნაწილი, კარგად ჭიდაობდა.

ჩვენი სტუდენტობიდან დიდი დრო გავიდა. იყო ხელმოკლეობაც, წარწარმატებებიც და იმედგაცრუებაც. სიბერე შემოეპარა ჩვენს თაობას, მაგრამ როგორც მე ვატყობ, ზეზვა არ იმჩნევს დროთა სიავეს. ღმერთმა ინებოს, რომ ასე გაგრძელდეს დიდხანს!

*მერაბ ტიკაძე*

## **იყო ლაპარაკობს ლექსად**

ზეზვა არის სრულიად უნიკალური პიროვნება, კაცი, რომელიც ლაპარაკობს ლექსად, მას პროზად ლაპარაკი არც შეუძლია.

ერთხელ ხევსურეთში მივდიოდით მე, ზეზვა და ჩემი და ლელა. ზეზვა მთელი გზა ავტობუსში ლექსად იღვრებოდა, გვერდით ეჯდა ლელა, რომელმაც ერთი დიდი საერთო რვეული აავსო ზეზვას ექსპრომტებითა და კაფიებით.

მერე ვიგონებდით ხოლმე იმ დაუვიწყარ მგზავრობას, ვკითხულობდით იმ ლექსებს და ვმხიარულობდით. სამწუხაროთ, ის რვეული დაგვეკარგა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არა ჩანს.

ზეზვას ერთი კაცი ყოველთვის თან უნდა დაჰყვებოდეს და იწერდეს მის მარგალიტებს.

ზეზვას კაფიებსა და ექსპრომტებს, რაც შეიძლება, ხალხში სჭირდება გატანა, ისინი საზოგადოებრივ ატმოსფეროს აჯანსაღებენ.

*კობა არაბული*

## ქართული სიყვარლის დიდოსტატი

ზეზვა მედულაშვილი ქართული სიტყვის დიდოსტატია. მისი თარგმანები გამოირჩევა სათარგმნი მასალის არაჩვეულებრივი ცოდნით, ტექსტის თავისებური გაგებით და ქართულ ენაზე ორიგინალურად აქლერებით. ის თანაბრად თარგმნის როგორც პროზას, ისე პოეზიას.

*ანდრო ბუაჩიძე*

## დღესასწაულის ტოლფასია შენს ვერძლით ყოფნა

ჩემო ზეზვა ვინც შენ გიცნობს, ვერ ათქმევინებ შენზე აუგს და თუ აღმოჩნდა ისეთი ვინმე, შენზე აუგი თქვას, სრული ჭკუის არ იქნება...

ხარ კარგი პოეტი და კარგი მთარგმნელი. თარგმნი აზერბაიჯანულიდან, სომხურიდან, თურქულიდან, სპარსულიდან... გაქვს არაჩვეულებრივი იუმორი, ბევრი მოვხედით შენი კალმის წვერის ქვეშ.

დღესასწაულის ტოლფასია, ჩემო ზეზვა, შენს გვერდით ყოფნა.

ნაღდი კაცი ხარ,  
ვერა ჰგუობ სახეზე ნიღაბს,  
მინდა სულ წადმა ეტრიალოს  
შენს ბედს და იღბალს!

*შოთა ტოგონიძე.*



## სარჩევი

ჩვენი ზეზვა.....	2
იქ, სადაც ახლა დერეფანია.....	3
რამდენი წინდახედულობა გემართებს .....	8
დაუვიწყარი წლები.....	10
ექსტრავაგანტური საქციელი .....	16
აქა-იქ გატყაპუნებული ტაში .....	18
მურმან, მურმან, შენსა მზესა .....	26
თანაკლასელები.....	29
ქართულ-სპარსულ-აზერბაიჯანული ექსპრომტები .....	31
ნეტა, მართლა, ასე იყოს.....	34
„ვტოკამ ჯორი ყურივითა“.....	36
არეულობის წლები.....	39
ზეზვაურ-ბიჭიკაურები.....	41
ერთი ლაქა მზესაც კი აქვსო.....	43
ჭილაობა, ალპინიზმი, რეგბი.....	45
რა იყო დაუჯერებელი ამაში .....	47
ღუდის სადღეგრძელოები .....	50
<b>პატარ-პატარა .....</b>	<b>52</b>
ემპიროკრიტიციზმი.....	52
საწყალი კაცი.....	52
ფექქვეშიდან კატას უნდა ვაყენებდეთ.....	52
იხვების გადაფრენა.....	53
შვიდი ენა დამცვივდაო.....	53
ბევრს ჰგონია.....	54
უსათაურო.....	54
ჭინჭრის ფხალი.....	54
მოპარული ეგონებათო.....	56
მაშინ ჩვენ გვაპატიეთა.....	56
<b>ზეზვას მონაყოლებიდან.....</b>	<b>57</b>
კრეჭო.....	57
<b>როცა ამ ჩანაწერებზე ვმუშაობდი.....</b>	<b>59</b>

ზეზვაურები .....	63
ზეზვაურების კვალდაკვალ .....	67
არაშენდაში ვართ.....	80
პირველი მერცხალი.....	82
<b>დასასრულის მაგიერ .....</b>	<b>85</b>
მინაწერის მაგიერ.....	85
<b>მეგობრები ზეზვას შესახებ.....</b>	<b>86</b>
გაზრდილი ღვთისმშობლის სათნოებით.....	86
ორიგინალური ადამიანი.....	87
ზეზვა უნიჭიერესი მთარგმნელია .....	89
ასეთი შემთხვევები მრავლად იყო.....	89
მადლიერება.....	90
ზეზვას ხიბლი.....	91
აღბეჭდილი პატიოსნებით .....	92
ზეზვა არ იმჩნევს დროთა სიავეს.....	93
კაცი ლაპარაკობს ლექსად.....	95
ქართული სიტყვის დიდოსტატი.....	96
დღესასწაულის ტოლფასია შენს გვერდით ყოფნა.....	96



***Nomadi Bartaia***

Our Zezva

*Humorous notes*

Tbilisi 2014



## გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)